პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილის.
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ.-ა.
და მაგრ. დეპ. საბ.
ცაკის
ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე 3 სართული
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. № 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

№ 243 კვირა, 22 ოქტომბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 243

დღიური

— ინგლისის მთავრობის თავმჯდომარე ლოიდ-ჯორჯი გადადგა. კაბინეტის შედგენა მიენდო კონსერვატორთა პარტიის ლიდერს ბონარ ლოუს, რომელიც აპირებს ლიბერალებთან თანამშრომლობას.

— ვირტმა განაცხადა, რომ გერმანიაში მზადდება ახალი შეთქმულება სახელმწიფო გადატრიალებისათვის.

— გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ მოაწყო ახალი მიტინგები. რეაქციონერები თავს იყრიან ბავარიის საზღვრებთან.

— ინგლისი მომხრეა, რომ ახლო აღმოსავლეთის საზავო კონფერენცია 13 ნოემბრისათვის გაიხსნას.

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

გაზეთის ტრესტის ქუთაისის განყოფილება,

გადავიდა მოქ. ტყაბლაძის წიგნის მაღაზიიდან „იმერეთი“-ს წიგნების და გაზეთების კანტორაში, სადაც სწარმოებს ხელის მოწერა ტფილისის გაზეთებზე, განცხადებების მიღება და გაზეთების ცალკე ნომრების გაყიდვა.

3—1

ორშაბათს 23 ოქტომბერს

ზუბალაშვილის სახელობის ყოფილ სახალხო სახლში, საღამოს 6 საათზე

შესდგება მორიგი სხდომა

ქალაქის აღმასკომის პლენუმისა.

დასწრება თავის დროზე ყველა წევრებისმთვის სავალდებულოა.

1—1

ლოიდ-ჯორჯის გადადგომა

მნიშვნელოვან შინაურ თუ საერთაშორისო მოვლენების დროს განსაკუთრებული სიცხადით აშკარავდება ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფო რეჟიმის და მთავრობის სიმტკიცე თუ სისუსტე. დიდი ამბები საუკეთესო გამოცდაა ყოველი მთავრობის და მისი პოლიტიკის. სოციალურ ძალთა და სხვა და სხვა სახელმწიფოების ინტერესთა წინააღმდეგობა, რომელიც ცხოვრების ჩვეულებრივ მიმდინარეობაში ფართო მასებისათვის არც ისე გარკვევით მოსჩანს, ასეთ შემთხვევებში გამოდის მზის სინათლეზე, შედის თავის „უფლების სისრულეში“, და იწვევს შინაური და საერთაშორისო მასშტაბით გადაჯგუფებას, ცვლილებას, რომელიც მით უფრო ღრმაა და რადიკალური, რამდენად ძლიერია, უფრო ძლიერია არსებული წინააღმდეგობანი და მისი გამომწვევი ფაქტორები.

იმპერიალიალისტურმა ომმა გააშიშვლა კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებული ეკონომიურ-სოციალურ-პოლიტიკური წინააღმდეგობანი, რასაც ბევრ ადგილას მოჰყვა რევოლიუცია, ტახტების დამხობა და „გვირგვინოსნების“ ჩამოგდება.

სწორედ ამ იმპერიალისტურ ომის დროს დაეცა, სხვათა შორის, ასკვიტის კაბინეტიც ინგლისში და მთავრობას სათავეში მოექცა ლოიდ-ჯორჯი.

მთავარი ამოცანა, რომელიც ინგლისის ბურჟუაზიამ დაუყენა ახალ პრემიერს, იყო იმპერიალისტური ომის გამარჯვებით დამთავრება, ამ მიზნით მობილიზაცია დიდი ბრიტანიის ყველა ძალების, რაც ასკვიტმა, როგორც ნაკლები ნებისყოფის მატარებელმა, ვერ შესძლო.

უნდა ითქვას, რომ ლოიდ ჯორჯმა შესძლო ინგლისის იმპერიალისტური ბურჟუაზიის დავალებათა ასრულება. ომიდან ყველაზე მეტი „გამარჯვებული“ ინგლისი გამოვიდა. ინგლისის პრემიერი თავის მოქმედებაში ემყარებოდა ლიბერალურ და კონსერვატიულ პარტიებს, რომელთა ფორმალური ბლოკი შესდგა ომის დროს. ამასთან აღსანიშნავია, რომ მის პოლიტიკის გატარებაში დიდად უწყობდნენ ხელს „მუშათა პარტიის“ ლიდერები, რომელთა მიმხრობაში ლოიდ ჯორჯმა განსაკუთრებული ნიჭი გამოიჩინა.

ომი „გათავდა“. და აქ იჩინა თავი შეურიგებელმა წინააღმდეგობამ „ნადავლის“ განაწილებაში კერძოდ ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ვერსალის ხელშეკრულების საკითხმა გაამწვავა მათ შორის დამოკიდებულება და საგრძნობლად გაბზარა მათი კავშირი.

ხოლო ახლო აღმოსავლეთში ამ ბოლო დროს დატრიალებულმა ამბებმა უფრო რადიკალურად დასვა საკითხი და ნიადაგი მოუმზადა ამ ორ ქვეყნის კავშირის დაშლას.

ლოიდ-ჯორჯის პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ ახლო-აღმოსავლეთში ერთად ერთი ჰეგემონი და ბატონ-პატრონი ყოფილიყო ინგლისი. ამით ილახებოდა საფრანგეთის ინტერესი და მან ქემალს გაუმაგრა ზურგი, მისი საშუალებით ინგლისს მნიშვნელოვანი დამარცხება არგუნა და მისი სიმტკიცე ახლო აღმოსავლეთში შეარყია. ამას მოჰყვა ლოიდ-ჯორჯის კაბინეტის დამხობა. გაიმარჯვა კონსერვატორების პარტიამ, ე. ი. იმ პარტიამ, რომელიც მომხრეა საფრანგეთთან კავშირის დაცვის, მასთან კომპრომისების გზით მსოფლიო ბატონობის შენარჩუნების.

ამ გვარად, მომხდარი ცვლილება ნიშნავს ცდას საერთაშორისო მასშტაბით იმპერიალისტურ და დაჩაგრულ ხალხების ჩაგვრის პოლიტიკის გაგრძელებისას. არსებითად ეს არ არის მიზნების შეცვლა, არამედ საშუალებათა გადასინჯვა ამ მიზნების უკეთ განსახორციელებლად. ასეთ საშუალებადაა მიჩნეული საფრანგეთ ინგლისის კავშირის განმტკიცება. დაჩაგრულ ხალხებისათვის კი არსებითად სულ ერთია, ვინ იქნება მისი ექსპლოატატორი, ინგლისი და საფრანგეთი ცალ-ცალკე თუ ორივე ერთად. კიდევ მეტი, ინგლის საფრანგეთის კავშირის განმტკიცება, თუ ის მოხდა, უფრო გააძნელებს მათ განმათავისუფლებელ ბრძოლას.

რაც შეეხება ამ მომხდარ ცვლილების მნიშვნელობას ინგლისის შინაურ მდგომარეობაზე აქ მოსალოდნელია პოლიტიკის მარჯვნივ გადახრა. კონსერვატორების გამარჯვება ამას გვეუბნება. ახალი მთავრობის მოსალოდნელი რეაქციონური პოლიტიკა ხელს შეუწყობს მუშათა მასების დარაზმვას და ნიადაგს შეუმზადებს ძალა უფლების მათ ხელში გადასვლას. და ინგლისის რევოლიუციონურ მუშებს მმართებთ მზადება ამ მომენტისათვის. საერთაშორისო მასშტაბით ბურჟუაზიის შეთანხმების ცდას მშრომელ მასების დასამონებლად მათ უნდა დაუპირდაპირონ თავიანთი ერთიანი ფრონტი, რომლის გატეხვას ვერ მოახერხებს ინტერესთა წინააღმდეგობით დაღონილი ბურჟუაზიის გადაჯგუფება და ხელოვნური შეთანხმებები.

კოოპერაცია სოფლად

საერთაშორისო იმპერიალისტური ომის და შემდეგ რევოლიუციის პირველ ხანებში კოოპერატივთა რიცხვმა საერთოდ ყველგან, საქართველოში, როგორც სოფლათ ისე ქალაქებში საგრძნობლათ იმატა. ომმა და რევოლიუციაზე თან მოყოლილი კრიზისით შეწუხებული მოქალაქე კოოპერაციაში ეძებდა ხსნას, მასზე ამყარებდა ყოველივე იმედებს, აარსებდა მას ხშირათ ისეთ ადგილებშიც, სადაც საამისო პირობები სრულებითაც არ იყო, როგორც კოოპერაციის მუშაკთა უქონლობის, ისე საჭირო თანხის უქონლობის გამო. გატაცება კოოპერაციით იმდენათ დიდი იყო, რომ არაფერს ანგარიშს არ უწევდნენ და კოოპერატივებიც სოკოებივით მრავლდებოდნენ. თავიდანვე აშკარა იყო, რომ ასეთ არა ბუნებრივ, ხელოვნურ ზრდას კოოპერატივებისას დროებითი ხასიათი ექნებოდა, ნაჩქარევათ დაარსებული კოოპერატივები დიდხანს ვერ იბოგინებდენ; გატაცება მალე გაივლიდა, კოოპერატივები გადამეტებულ იმედებს ვერ გაამართლებდენ,- პირობების ოდნავ შეცვლის თანავე დაიწყებოდა კრიზისი, ასეც მოხდა: დღეს არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ კოოპერაცია კრიზისს განიცდის განსაკუთრებით სოფლათ, სადაც მრავალია ისეთი კოოპერატივები, რომელიც მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, მოქმედების უნარს კი კარგი ხანია მოკლებულია. ან რა აზრი აქვს ისეთ კოოპერატივის არსებობას, რომლის მთელი საწარმოვო თანხით მხოლოდ რამდენიმე ათეულ კოლოფ წუმწუმის, კოჭა ძაფის და ორიოდე გირვანქა საპონის შეძენა შეიძლება? როგორ უნდა დააკმაყოფილოს ასეთმა კოოპერატივმა თავის წევრთა მოთხოვნილება; შეასრულოს თავისი დანიშნულება და მიზანი? როგორ უნდა დაფაროს გამგეობის, ნოქრის და სხვა სამეურნეო ხარჯები? რასაკვირველია, რომ ასეთ ყოფნას არყოფნა სჯობია და თუ შეუძლებელია ასეთი კოოპერატივების აღორძინება, მოქმედების გაცხოველება, უმჯობესია მათ არსებობას დასასრული დროზე მიეცეს, შეიძლება ამ გზით კოოპერატივთა რიცხვი შემცირდეს, მაგრამ საქმე რაოდენობაში არ არის; ამით არავინ არაფერს არ წააგებს.

არიან კოოპერატივები, რომლებიც საშუალოდ იჩენენ მოქმედების უნარს და ნახევრათ მაინც ასრულებენ თავის დანიშნულებას. ასეთ კოოპერატივებსაც ეპირებათ გადახალისება, ამოძრავება, საწარმოო თანხის გადიდება პაის ამატებით, ან სხვა რამ საშუალებით. ეს აუცილებელია, რომ ამ მცირე კატეგორიის კოოპერატივებსაც პირველთა ბედი არ ეწიოს, რომ ისინიც სასიკვდილოთ არ იქნენ განწირული. თუ არსებობის ახალი წყარო არ იქნა გამონახული, ის მცირე თანხა, რომელიც მათ ჯერ კიდევ მოეპოვებათ, ხარჯებს ვერ დაფარავს მომავალში და კოოპერატორთა ჯამაგირებათაც არ იკმარებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აუცილებელია ასეთ კოოპერატივებში შტატის შემოკლება და საერთოდ ხარჯების შემცირება, თორემ ზოგან პირდაპირ სასაცილო მდგომარეობაა: საერთო თანხა სულ რამდენიმე თოფ ჩითს თუ იყიდის, ოქროზე ანგარიშით 10 - 20—თუმნის უდრის და ასეთ მცირე თანხის კოოპერატივმა უნდა დააკმაყოფილოს ჯამაგირით გამგეობის სამი წევრი, ნოქარი, ბუხგალტერი და სხვა. რასაკვირველია, რომ ასეთი კოოპერატივი კერძო თუ გინდ წვრილ კაპიტალთანაც მეტოქეობას დიდხანს ვერ გაუძლებს და სიცოცხლეს გამოესალმება.

ეს რომ ასე არ მოხდეს, თავიდანვე უნდა იყოს მიღებული ზომები შტატების შემოკლებით და საერთოდ ხარჯების შესამცირებლად, ამასთანავე ერთად თანხის გასადიდებლად დაუყონებლივ უნდა იქნას მიღებული ზომები პაის გადიდებით, ან სხვა საშუალებით. პაის გადიდება ბევრგან დიდ სიძნელეს და უხერხულობას გამოიწვევს, რადგანაც კოოპერატივების ძველ მოღვაწეთა ბოროტმოქმედებით დაშინებული ხალხი ბევრგან ნაკლები ნდობით და ხალისით გაიღებს ასეთს და მეორე მხრივ სოფლის ღარიბ ელემენტს, დიდი სურვილიც რომ ქონდეს, გაუჭირდება გადიდებულ პაის გაღება. ასეთების კოოპერატივების გარეშე დატოვება კი შეუძლებელია საბჭოთა ხელისუფლების დროს.

არსებობენ ისეთი კოოპერატივებიც, თუმცა ასეთები ძალიან ცოტაა, რომლებიც დღესაც ფეხზე დგანან და ჯერჯერობით განსაცდელში არ არიან ჩავარდნილი. ასეთი კოოპერატივები კიდევ მეტათ უნდა გაძლიერდენ, ამოძრავდენ თანახმად იმ რეზოლიუციისა, რომელიც გამოიმუშავა სრულიად რუსეთის პარტიულმა კონფერენციამ და იმ ცირკულიარისა, რომელიც გამოუშვა რ. კ. პ. ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტმა (იხ. „კომუნისტი“-ს 223 ნომერი).

აქვე საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ არიან დაბები, სადაც საზოგადოებრივ (სამოქალაქო) კოოპერატივის გვერდით მუშკოპი არსებობს. მათი ცალ-ცალკე არსებობა მიზანშეუწონელია, ორი გამგეობა, ორი სარევიზიო კომისია, ორი ნოქარი, ორი ბუხგალტერი, და სხვა ზედმეტ ხარჯებს აწვება საზოგადოებას. აუცილებლათ საჭიროა მათი შეერთება, რითაც შესაძლებელი გახდება ხარჯების ნახევრათ მაინც, თუ მეტი არა, შემცირება და შეერთებული ძალით გაცხოველება კოოპერატივის მუშაობისა. ყველა ეს კითხვები უნდა გაითვალისწინონ სოფლათ კოოპერატივებში მომუშავე ამხანაგებმა, რომ მათმა მუშაობამ შესაფერი ნაყოფი მოიტანოს და მიზანს მიაღწიოს.

Homo.

ჟურნალ-გაზეთებიდან

დიპლომატები

ქვეყანაზე არის სხვა და სხვა გვარი დიპლომატები. არის ისეთი „დიპლომატები“-ც, რომელთა ხელობას შეადგენს მხოლოდ და მხოლოდ სხვისი ნივთებით ვაჭრობა.

ამ შემთხვევაში ლაპარაკია „უკრაინის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს“ დიპლომატებზე ბერლინში, —საელჩოს, რომელიც არის წარმომადგენელი გეტმანის, პეტლიურას, თუ ვასილი ვიშივანის, ე. ი. გამსბურგის უმუშევარი პრინცის, რომელიც, რატომღაც, სთვლის თავის თავს უკრაინის ტახტის პრეტენდენტათ.

სხვა რეალური საქმის უქონლობის გამო ამ „საელჩომ“ მიაქცია თავისი ყურადღება სამხედრო ტყვეთ ყოფილ უკრაინელ—ოფიცრების ქონებას, რომელიც წინად მიუნდენის ბანაკში ინახებოდა.

ეს ქონება უკანასკნელ დრომდე მართლაც „ინახებოდა“, ვინაიდან ის მივიწყებული იყო. მაგრამ ამ ცოტა ხნის წინად შენახულ საქონელის ერთ თუ ორ მეპატრონისაგან შემოვიდა მოთხოვნილება მათი უკან დაბრუნების შესახებ. და აი სწორედ აქ „საელჩოს“ მოაგონდა...

მაგრამ მოაგონდა არა ის, რომ საჭიროა ნივთების მეპატრონესათვის დაბრუნება. არამედ ის, რომ შესაძლოა შენახულ საქონლიდან მცირე, მაგრამ მეტად საჭირო შემოსავლის წყაროს შექმნა. და იმაზე დაყრდნობით, რომ მხოლოდ ერთმა ან ორმა კაცმა მოითხოვა საქონელი, „საელჩომ“ სცნო, რომ დანარჩენთა ნახვა შეუძლებელია, და ამიტომ მათი საკუთარი ნივთები უნდა გაყიდულ იქნეს.

და მართლაც: გახსნეს ჩემოდანები, ამოარჩიეს იქიდან ყველაფერი, რაც „რეალიზაციაც“ შესაძლებელი იყო, გაყიდეს, მიღებული თანხა ჩარიცხეს ჩვეულებრივ ხარჯის ანგარიშში, და... მით დაიმშვიდეს გული.

ბამბის მსოფლიო მოხმარების ზრდა

ეხლახან გამოქვეყნებულ ჩვეულებრივ ნახევარი წლის სტატისტიკური ცნობებიდან ბამბის მარაგისა და მოხმარების რაოდენობის შესახებ ბამბის მსოფლიო მრეწველობაში, სჩანს, რომ ბამბის მსოფლიო მოხმარება წარსულ წელში, რომელიც 31 ივლის გათავდა გამოიხატა 21.150.000 ტიუკში, რაც შეადგენს უკანასკნელი მშვიდობიან წლის, სახელდობრ 1913 წლის, მოხმარების 92,5 პროც.-ს.

ამერიკული ბამბა წარსულ წელში მოხმარებულ იქნა 12,748,000 ტ.—87,8 პროც. 1913 წლის მოხმარებისა. ეს ცნობები, რომელიც გამოაქვეყნა ცნობილმა ინტერნეიშენალ ფედერეიშენის ორგანიზაციამ, ეთანხმება იმ ცნობებს, რომელსაც ჩვეულებრივ იძლევიან მწარმოებლები და ამიტომ შეიძლება ნამდვილათ ჩაითვალოს. ნიუ-ორლეანის ბამბის ბირჟის მდივანის გეფტერის გამოანგარიშებით ამერიკული ბამბის მსოფლიო მოხმარება უდრის 12.804.000 ტ. უკანასკნელი წლისათვის 1921 წ. 1 აგვისტოდან 1922 წ. ივლისის ბოლომდე.

წარსულ საოპერაციო წელს შეერთებულ შტატებში ბამბის მოსავალი უდრიდა 8.000.000 ტ. ს, მაშინ როდესაც 1919—1920 წ.—17,000.000 ტ—ს. და ვინაიდან ეხლანდელი მოსავალი შეერთებულ შტატებში ნაანგარიშევია 10 000.000 ტიუკი, ცხადია, რომ ეს რაოდენობა სრულიად ვერ დააკმაყოფილებს ბამბის ნამდვილ მოთხოვნილებას. ამგვარად ყველაფერი დამოკიდებულია, როგორც სხვა ქვეყნების ბამბის მოსავალზე, ისე იმ „გამოურკვეველ“ მარაგისაგან, რომელსაც, სხვათა შორის, ყოველთვის ქონდა ცოტად თუ ბევრად გადამწყვეტი მნიშვნელობა ბამბის მრეწველობაში.

კომინტერნში

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება გერმანიის ამბების გამო.

მოსკოვი. 20 ოქტ. კომინტერნის აღმასკომის მოწოდებაში მთელი ქვეყნის მუშების და მუშა-ქალებისადმი და გერმანიის პროლეტარიატისადმი სხვათა შორის ნათქვამია შემდეგი: სოციალ დემოკრატიის გაერთიანება მოასწავებს რევოლიუციონურ მუშების დარბევას. უკვე გაცხოველდა მუშაობა სტინესთან კოალიციის მოსაწყობათ, რომ ეს კოალიცია ნიშნავს ხელფასის შემცირებას და სამუშაო დროის გადიდებას და აგრეთვე სტინესისათვის რკინის გზის გადაცემის. სოციალ დემოკრატია ემზადება იმ მუშათა მასების დაქსაქსვისათვის, რომელიც იკრებავს თავის ძალებს. გერმანიის პოლიცია სოციალ დემოკრატების მეთაურობით ყველგან იცავს მონარქისტებს მუშების წინააღმდეგ. ბურჟუაზიული პრესა შეუდგა შუღლის თესვას არა მარტო კომუნისტების, არამედ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. კრიზისი გერმანიაში იზრდება. მხოლოდ პროლეტარიატის გაათკეცებულ ექსპლოატაციას შეუძლია გადაარჩინოს გერმანიის ბურჟუაზია.

ახლო მომავალში შეიკრიბება გერმანიაში ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების ყრილობა, რომელიც მოწოდებულია სტინესის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ესდეკებმა ამიტომ გააჩაღეს წინასწარი ბრძოლა და სცდილობენ სისხლის მორევში ჩაახრჩონ მოძრაობა, მანამ სანამ ეს მოძრაობა ფეხს მოიმაგრებდეს.

ძირს სტინესის სოციალ-დემოკრატია! გაუმარჯოს ერთიან პროლეტარულ ფრონტს და გერმანიის კომპარტიას“!

კომინტერნის მე-4 კონგრესი.

მოსკოვი. 21 ოქტ. კომინტერნის მე-4 კონგრესი გაიხსნება სახალხო სახლში. გახსნაზე დაესწრება 4.000 კაცი.

რადიო-დეპეშები

ლოიდ-ჯორჯის გადადგომა

გადადგომის საბაბი.

კრაუდენი. 20 ოქტ. იმის შემდეგ, რაც კარლტონ კლუბში უნიონისტ-მინისტრებმა და თემთა პალატის წევრებმა 180 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 87 ისა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კონსერვატიული პარტია არჩევნებში დამოუკიდებლად გამოვა, ლოიდ-ჯორჯი გაემგზავრა ბუკინგემის სასახლეში და გადასცა მეფეს თავისი გადადგომის ცნობა. მეფე შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობის გამო გადასახლდა ლონდონში.

მეფემ მაშინვე მიიწვია ბონარ ლოუ და მიანდო მას ახალი კაბინეტის შედგენა. ბონარლოუმ მიიღო წინადადება.

ბონარ ლოუ.

კრაუდენი. 20 ოქტ. ბონარ ლოუ იყო მთავარი მოწინააღმდეგე კონსერვატორთა კრებაზე კოალიციის განგრძობისა. მან განაცხადა, რომ საჭიროა თვითეულ პარტიას დაუბრუნდეს მოქმედების თავისუფლება რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და რასაც მიეცა გადამწყვეტი მნიშვნელობა კენჭის ყრის დროს. ბონარ ლოუს პოლიტიკას მხარი დაუჭირა 187 ხმამ და მხოლოდ 87 ხმა იყო ჩემბერლენის მხარეზე, რომელიც მოითხოვდა კოალიციის განგრძობას. ბონარ-ლოუმ განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს ითანამშრომლოს ლიბერალებთან, და უარს არ ჰყოფს მათთან გაერთიანებას, მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ არჩევნების შემდეგ კონსერვატორთა უკანასკნელი კრების რეზოლიუციაშიაც აღნიშნულია ლიბერალებთან თანამშრომლობა, მაგრამ არა გაერთიანება მათთან.

პრემიერი აღარ არის.

კრაუდენი. 20 ოქტომბერი. ლოიდ-ჯორჯმა მიიღო რა მემაღაროეთა ფედერაციის წარმომადგენლები, განუცხადა: „ძალიან ვწუხვარ, მაგრამ მე აღარა ვარ პრემიერი, და ამიტომ არაფრის დაპირება არ შემიძლია“.

პირველი სწორი ნაბიჯი

კრაუდენი. 20 ოქტ. კლაინმა განუცხადა პრესის წარმომადგენელს, რომ კაბინეტის გადადგომა არის პირველი სწორი ნაბიჯი, რომელიც კონსერვატორებმა 3 წლის განმავლობაში პირველად გადასდგეს.

გადამდგარ მინისტრების მანიფესტი

კრაუდენი. 20 ოქტ. გადამდგარმა მინისტრებმა გამოუშვეს მანიფესტი, რომელშიც ჰკიცხავენ კარლტონ-კლუბში მომხდარ კენჭის ყრას.

არჩევნები

კრაუდენი. 20 ოქტ. ნიუ პორტში მომხდარ არჩევნებში კონსერვატორებმა მიიღეს 13 ნახ. ათასი ხმა, მუშათა პარტიამ 11 ნახ. ათასი ხმა, ხოლო ლიბერალებმა 9 ათასი ხმა.

ინგლისის საგარეო პოლიტიკა

პარიზი. 20 ოქტ. გაზეთი „დეილი ხრონიკლი“ ფიქრობს, რომ ინგლისის საგარეო პოლიტიკაში არავითარი ცვლილება არ მოხდება, ხოლო ირლანდიასთან ხელშეკრულება დაცული იქნება.

საფრანგეთის პრესის გამოძახილი.

პარიზი. 20 ოქტ. გაზეთები იხილავენ ლოიდ ჯორჯის გადადგომას, გამოსთქვამენ აზრს, რომ მისი წასვლა ბოლოს მოუღებს გაურკვევლობას და გააუმჯობესებს ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობას და აგრეთვე სასურველ გავლენას მოახდენს მოკავშირეთა ურთიერთობაზედაც.

— გაზ. „ლა ვიკტუარი“ სწერს: „ლოიდ-ჯორჯი წავიდა და ეხლა კი შესაძლებელი გახდება ევროპაში მშვიდობიანობის დამყარებისათვის სერიოზულად მზადება.

— გაზ. „ეკო ნასიონალი“ ამბობს, რომ მომენტის გარემოების მიხედვით სიმართლესთან ახლოს იქნებოდა გვეთქვა, რომ ლოიდ ჯორჯის გადადგომა არის ფრანგების გამარჯვება, მაგრამ ჯერ ჯერობით აზრის გამოთქმაზე, თავის შეკავება სჯობია.

ლოიდ-ჯორჯი და ბონარ-ლოუ.

ბორდო. 21 ოქტ. ლოიდ-ჯორჯმა მეფისათვის თავის გადადგომის ცნობის გადაცემის დროს, მიუთითა ბონარ ლოუზე; როგორც თავის მემკვიდრეზე, რომელიც შეადგენს წმინდა კონსერვატიულ კაბინეტს.

ბონარ ლოუს პირობები.

ნაუენი. 21 ოქტ. ბონარ ლოუმ მიიღო მეფის წინადადება კაბინეტის შედგენის შესახებ და ამავე დროს სთხოვა მისცეს დრო საბოლოო პასუხის მისაცემად, ვინაიდან არა ის, არამედ ჩემბერლენი არის კონსერვატიული პარტიის ლიდერი. მაგრამ ეჭვს გარეშეა, პარტიის აღმასკომი აირჩევს ბონარ ლოუს, ვინაიდან ჩემბერლენის მდგომარეობა კარლტონ-კლუბში არჩევნების შემდეგ მერყევა.

პრესის აზრი

პარიზის პრესა

ნაუენი. 21 ოქტ. პარიზის ნაციონალური პრესა აღტაცებულია ლოიდ-ჯორჯის გადადგომის გამო და სთვლის მის დაცემას პუანკარეს ტრიუმფათ, რომელიც ხსნის ახალ გზებს ახლო აღმოსავლეთის საკითხის გადასაწყვეტად, საფრანგეთის სურვილის თანახმად.

ნაუენი. 24 ოქტ. პრესის ცნობით, საფრანგეთის მთავრობა მიესალმება ბონარ ლოუს, როგორც საფრანგეთის ერთგულ მეგობარს, ხოლო დეპუტატთა პალატაში ფიქრობენ, რომ ქემალ ფაშა ისარგებლებს ამ მდგომარეობით, რათა გააფართოვოს თავისი მოთხოვნილება.

ლონდონის პრესა.

ნაუენი. 24 ოქტ. ინგლისის პოლიტიკური კურსის განზრახულ შეცვლის გამო, ლონდონის ლიბერალური გაზეთები იძლევიან გაფრთხილების „გამოიცვალოს ცხენები მდინარის ფონის გადასვლის დროს“.

გერმანის პრესა.

ჰანოვერი. 24 ოქტ. გაზ. „ტაგე“ ფიქრობს, რომ ინგლისის კაბინეტის შეცვლის გამო, გერმანია ბედის ამარად იქნება მიტოვებული.

— გაზ. ბერლინერ ტაგებლატი“ ფიქრობს, რომ გარდამავალ ხანაში ინგლისის აქტიურ თანამშრომლობის დროს საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტაში, გერმანიის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება.

— გაზ. „ალგემაინე ცეიტუნგი“ ამბობს, რომ ლოიდ-ჯორჯის დაკრძალვის დროს გერმანიას არ მოუხდება ამ დამარცხებულ მინისტრის საფლავზე დაფნის გვირგვინის მიტანა. გაზეთის აზრით ლოიდ-ჯორჯის დანაშაული მით უმეტესად დიდია, რომ მან დიდი ხნის წინად აღიარა ვერსალის ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა.

გაზ. „როტე ფანეს“ აზრი.

ჰანოვერი. 20 ოქტ. გაზ. „როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ დღეს მეტი შესაძლებლობაა ინგლისის ახალ პოლიტიკის საფრანგეთის პოლიტიკასთან დაახლოვებისათვის, პუანკარეს გეგმის საკითხში გერმანიის წინააღმდეგ.

იტალიის პრესა

პარიზი. 21 ოქტ. გაზ. „კორიერა დელა სერა“ აცხადებს, რომ ლოიდ-ჯორჯს არ შეეძლო გაეგო და ესურვა იტალიასთან გულწრფელი და ჭეშმარიტი შეთანხმება.

— გაზ. „ტრიბუნა“ ფიქრობს, რომ ლოიდ ჯორჯის პოლიტიკური მოღვაწეობა ჯერ კიდევ დასრულებული არ არის.

მდგომარეობა გერმანიაში

ახალი შეთქმულებანი.

ნაუენი. 21 ოქტომბერი. დღეს კანცლერმა ვირტმა დიდი სენსაცია მოახდინა რეიხსტაგში თავის მიმართვით ნაციონალისტებისადმი, რომელთაც კანცლერი მოუწოდებდა გამსჭვალულიყვნენ მდგომარეობის სერიოზულობით, ვინაიდან სარწმუნო ცნობებიდან ირკვევა, რომ ამზადებენ ახალ პოლიტიკურ მკვლელობებს. ვირტმა დაუმატა, რომ შეთქმულების ზოგიერთი მონაწილეები უკვე შეიპყრეს, რომლებიც გამოტყდნენ მონაწილეობაში და გამოაქვეყნეს გეგმა მომავლისათვის განზრახულ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეების მოკვლაში.

ჰანოვერი 21 ოქტომბერი. რეიხსტაგის სხდომაზე კანცლერმა ვირტმა განაცხადა, რომ მას აქვს ცნობები ახალი შეთქმულებისა და მომავლისათვის განზრახულ პოლიტიკურ მკვლელობათა შესახებ.

რაც ნებადართულია მონარქისტებისათვის აკრძალულია კომუნისტებისათვის.

ჰანოვერი. 21 ოქტომბერი. გუშინ პრუსიის ლანდტაგის სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა სევერინგმა ბერლინში ბუშის ცირკის მახლობლად მომხდარ შეტაკების შესახებ შეკითხვაზე გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, თითქოს პრუსიის მთავრობა მერყეობდეს. სევერინგი ილაშქრებოდა ნაციონალისტების და კომუნისტების წინააღმდეგ. ორატორმა განაცხადა, რომ მომავალში ყველა უცხოელები, რომლებმაც არ გაამართლეს გერმანიის სტუმართმოყვარეობა და მუშაობდენ უკიდურეს პარტიებში, განსაკუთრებით კომუნისტურში, იქნებიან დაუყონებლივ გასახლებული გერმანიიდან.

არჩევნები.

ჰანოვერი. 21 ოქტომ. „დეილი მეილის“ ცნობით, არჩევნები მოხდება არა უადრეს მომავალი წლის იანვრის ან თებერვლისა.

მკვდრების აჩრდილები.

ნაუენი. 21 ოქტომბერი. ბერლინის წრეებში ფიქრობენ, რომ ლოიდ-ჯორჯის გადადგომა გამოიწვევს კონსერვატიულ პარტიის საგრძნობ გაძლიერებას და რომ მოსალოდნელია უნიონების და ლიბერალების ახალი კოალიცია. ფიქრობენ აგრეთვე, რომ თუმცაღა ინგლისში მობეზრდათ ლოიდ-ჯორჯის პირადი პოლიტიკა, მაგრამ უკანასკნელს დღემდე თავის ხელში უჭირავს ევროპის დღევანდელი კრიზისის გასაღები.

პრეზიდენტის არჩევის საკითხი.

ჰანოვერი. 20 ოქტ. საღამოს, 18 ოქტომბერს გავრძელდა პარტიათა

ლიდერების მოლაპარაკება რეისკანცლერთან, საპრეზიდენტო არჩევნებისათვის კოალიციის შექმნის შესახებ დაწყებული სახალხო პარტიიდან გათავებული სოციალ-დემოკრატებით. გადაწყვეტილია ებერტს გაუგრძელონ რწმუნებულებანი 1925 წლ. 30 ივნისამდე. ამ წინადადების გატარება რეიხსტაგში უზრუნველყოფილია 2|3 ხმით კომუნისტების და ნაციონალისტების წინააღმდეგ. პრესსა, მათში „ფორვერტსიც“ სიამოვნებით ეგებებიან ამ გადაწყვეტილებას.

ბორდო. 20 ოქტ. თანახმად გერმანიიდან მიღებულ ცნობებისა კოალიციურ, პარტიები შეთანხმდნენ გერმანიის კონსტიტუციის 108 მუხლის შეცვლაზე ებერტისათვის რწმუნებულების გაგრძელების მიზნით 1925 წლ. ივნისამდე.

ახლო აღმოსავლეთის ამბები

ამხ. მდივანის ანგორაში ჩასვლა

მოსკოვი. 21 ოქტ. ანგორაში ჩავიდა ამხ. მდივანი, რომელსაც დიდი ზეიმით შეხვდენ ოსმალეთის ხელისუფლების ორგანოები და სამხედრო ნაწილები.

ქემალ ფაშის გამგზავრება

მოსკოვი. 21 ოქტომ. ქემალ ფაშა გაემგზავრა ბრუსაში.

ფრაკიაში

მოსკოვი. 21 ოქტომ. რეფილ-ფაშა მიემგზავრება ადრიანოპოლში მოკავშირეებისაგან ფრაკიის მისაღებად.

— მოკავშირეთა ჯარებმა დაიჭირეს რამდენიმე პუნქტები ფრაკიის იმ რაიონში, რომელიც ბერძნებმა დასცალეს.

— ფრაკიაში შეუდგა მუშაობას საზღვრების გამომრკვევი კომისია.

ბერძნების ძალდატანება

მოსკოვი. 21 ოქტ. ბერძნების ძალდატანება ფრაკიის მუსლიმან მცხოვრებლებზე გრძელდება. ჩიტალჯის რაიონში გადასწვეს რამდენიმე მუსლიმანების სოფლები. ბერძნები ძალით ასახლებენ გლეხებს.

ინდოეთი და ანგორა

მოსკოვი. 21 ოქტ. ანგორაში მიემგზავრებიან ინდოეთის დეპუტატები და გამოჩენილი მუსლიმანი მოღვაწეები. ანგორის მთავრობისათვის ნაჩუქარ 2 ჰაეროპლანის და მუსტაფა ქემალისათვის საპატიო ხმალის გადასაცემად.

ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციისათვის

მოსკოვი. 21 ოქტ. კონფერენციის მუშაობის დაჩქარების მიზნით ბრიტანეთის მთავრობა იწვევს ლონდონში ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის ექსპერტთა წინასწარ თათბირს. იტალიის მთავრობამ გაგზავნა ლონდონში თავის წარმომადგენელი.

საფრანგეთის მთავრობა თანახმაა თათბირის მოწვევისა, მაგრამ ყველაზე უფრო მოხერხებულ ადგილად სთვლის პარიზს.

საბერძნეთში

მოსკოვი. 21 ოქტ. საბერძნეთის რევკომმა მიმართა საბერძნეთის ხალხს მოწოდებით, რომელშიაც იგი აღიარებს ხალხის მტრებათ კონსტანტინეს მთავრობის ყველა წევრებს, რომელთაც ჩამოაშორეს საბერძნეთი მოკავშირეებს.

სხვადასხვა ამბები

რუმინეთში

რუმინიის მეფის კურთხევა.

მოსკოვი. 20 ოქტ. რუმინიის მეფის კურთხევის დღეს რუმინიის ნაციონალისტების ლიდერს ვოევოდას სურდა მოეწვია ნაციონალისტური ყრილობა. პრემიერმა ბრატიანომ და ემუქრა ვოევოდას ზარბაზნებით, თუ ყრილობა შეიკრიბებოდა.

ნაციონალისტებმა, რუმინიის გლეხების პარტიამ და ბუკოვინის და ბესარაბიის პარტიებმა გადასწყვიტეს არ გაგზავნონ წარმომადგენლები კურთხევაზე. ვენგრიის ელჩი ბუხარესტში არ დასწრებია კურთხევას.

ბულგარეთი და ჩეხო-სლოვაკია

მოლაპარაკება

მოსკოვი. 20 ოქტ. ბოლგარეთის პრემიერი სტამბოლინსკი მივიდა პრაგაში, სადაც მოლაპარაკება ჰქონდა ჩეხიის მთავრობასთან. სტამბოლინსკიმ განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ მისი მოგზაურობა მიზანია—ხელი შეუწყოს ბოლგარეთის და ჩეხიის ხალხთა კულტურულ დაახლოვებას. სტამბოლინსკი ფიქრობს, რომ ჩეხო-სლოვაკიამ შუამავლის როლი უნდა შეასრულოს ბოლგარეთის და სამხრეთ-სლავიის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.

პოლონეთი

თავდასხმა პროფ. ტვერდოხლებზე.

მოსკოვი. 20 ოქტ. სამი შეიარაღებული პირი თავს დაესხა სადგურ სპარეჟანტზე (პოლონეთი) რუსინიის გაზეთის რედაქტორს პროფესორ ტვერდოხლებს. ერთი ტყვია ტვერდოხლებს მოხვდა მუცელში. გაზეთების აზრით ეს თავდასხმა წარმოადგენს ტერორისტულ აქტს მთავრობის აგენტების მხრივ. ტვერდოხლები ცნობილია, რგორც უკრაინულ-პოლონურ მთავრობის მომხრე და იყო კანდიდატათ პოლონურ სეიმში.

დომბალის პროცესი.

მოსკოვი. 21 ოქტ. ვარშავის სააპელიაციო სასამართლომ გააუქმა პირველი განაჩენი დომბალის საქმის შესახებ, მოუსაჯა მას 3 წლის კატორღა, უფლებების ჩამორთმევით.

საფრანგეთი

გაფიცვები მარსელში.

მოსკოვი. მარსელიდან მიღებულ ცნობის თანახმად შრომის ბირჟის შენობიდან გამოსვლის დროს მეზღვაურებს თავს დაესხნენ გაფიცულები. შეპყრობილია 3 გაფიცული.

გერმანიის მარკის შესყიდვის აკრძალვა.

ჰანნოვერი. 20 ოქტ. გავასის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა შეიტანა დეპუტატთა პალატაში კანონ-პროექტი საფრანგეთში გერმანიის მარკის შესყიდვის აკრძალვის შესახებ. პროექტით გამონაკლისი დაშვებულია სავაჭრო პალატის მიერ ნება დართულ სავაჭრო ოპერაციების საჭიროებისათვის.

ვაჭრობის მდგომარეობა.

ბორდო. 20 ოქტ. 1922 წლ. 9 თვის განმავლობაში საფრანგეთში შემოტანილია 16 ნახ. მილიარდ ფრანკის ღირებული საქონელი და გატანილია 14 მილ. 200.000 ფრანკის ღირებული. სექტემბერში შემოტანა შემცირდა 1.894.000 ფრანკით და გატანა გაიზარდა 1 741.000 ფრანკით.

ინგლისი

„თეთრ წუთის“ ორატორი.

ჰანოვერი. 21 ოქტ. ლონდონიდან მიღებულ ცნობებით, ლოიდ-ჯორჯი უარს არ ამბობს წინად დანიშნულ პოლიტიკურ სიტყვებზე. პირიქით, მას განზრახული აქვს ლიდოში გამგზავრების წინ, გამოვიდეს მგზავსად ამერიკის „თეთრ წუთის“ ორატორისა და სიტყვა წარმოსთქვას ვაგონიდან. ამით ის იწყებს არჩევნების წინასწარ სააგიტაციო კამპანიას.

ავსტრია

უცხოელები ვენაში.

ჰანოვერი. 20 ოქტ. უცხოელების მოზღვავება ვენაში შემცირდა, რის გამო სასტუმროები ნახევრად დაცარიელებული არიან.

სესხი.

ჰანოვერი. 20 ოქტ ავსტრიის მთავრობამ შეიტანა ეროვნულ ყრილობაში პროექტი 750 მილიონი კრონის კრედიტის მისთვის გახსნის შესახებ.

შორეულ აღმოსავლეთში

მოსკოვი. 21 ოქტ. სახალხო-რევოლიუციონური არმიის მოწინავე ნაწილებმა დაიკავეს სადგური ოკეანსკაია, ვლადივასტოკთან 18 ვერსის მანძილზე. სად. ოკეანსკაიაში ჩამოვიდა 2 იაპონელი ოფიცერი და საელჩო კორპუსის სახელით წინადადება მისცეს სახალხო რევოლიუციონურ არმიის სარდლობას გამართოს მოლაპარაკება ქალაქის ხელისუფლებისათვის გადაცემის წესის შესახებ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

საბჭოთა რუსეთის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის ნოტა.

მოსკოვი. 21 ოქტომბერი. საბჭოთა რუსეთის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის ის ნოტა. რომელიც გაეგზავნა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლებს მოაგონებს ინგლისის და იტალიის მთავრობებს, იმ შედეგების შესახებ, რომელიც შეუძლია გამოიწვიოს ახლო აღმოსავლეთის კონფერენციაზე რუსეთის მოწვევაზე უარის თქმამ. რუსეთის ელემენტარულ ინტერესების და მის კანონიერ მოთხოვნილებათა სისტემატიური უყურადღებოთ დატოვება ქმნის საბაბს სერიოზულ საერთაშორისო გართულებისათვის. რუსეთის მომხდარ ფაქტის წინაშე დაყენების ცდა, გამოიწვევს იმას, რომ ამ გადაწყვეტილებებს რუსეთი არ მიიღებს. რუსეთის მთავრობა კატეგორიულად და დაჟინებით მოითხოვს, რათა იქნას დაშვებული კონფერენციაზე ყოველგვარ შეზღუდვის გარეშე სხვა დაინტერესებულ ქვეყნებთან თანასწორ უფლებებით.

წითელი დროშის ორდენი.

მოსკოვი. 21 ოქტ. სრულ. რუსეთის ცაკმა დაადგინა გაავრცელოს წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვება მილიციის მუშაკებზე, რომელთაც გამოიჩინეს სიმამაცე ბანდიტიზმთან ბრძოლის დროს.

შაქარი.

მოსკოვი. 21 ოქტ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა შეისყიდა საზღვარ გარეთ 500 000 ფუთი შაქარი მრეწველობისა და მცხოვრებთათვის. შაქარი უკვე მოვიდა. სახელმწიფო გეგმის კომისიამ ზედმეტად ჩასთვალა საზღვარ გარეთ შაქრის ყიდვა, ვინაიდან წელს შაქრის ტრესტს შეუძლია მისცეს სახელმწიფოს 12 მილ. ფუთი რაფინადი და შაქრის ფხვნილი.

სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შტატები.

მოსკოვი. 24 ოქტ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა შეამციროს სახ. მეურნეობის საბჭოს შტატი 3.800 კაცამდე.

სრ. რუსეთის კომუნისტ. ახალგაზრდობის კავშირის ყრილობა.

მოსკოვი, 21 ოქტ. სრულიად რუსეთის კომუნისტურ ახალგაზრდობის კომკავშირთა უკანასკნელმა სხდომამ ამხ. ტროცკის მოხსენების შესახებ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აცხადებს: რუსეთის მშრომელი ახალგაზრდობა მზადაა ყველა ძალების დასაჭიმავად სამეურნეო ფრონტზე გამარჯვების მოსაპოებლად. ყრილობა მოუწოდებს საბჭოთა რუსეთის ყველა ახალგაზრდა მშრომელებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა საბჭოთა რუსეთის აღმშენებლობაში და მის მტრებთან ბრძოლაში. კომუნისტური ახალგაზრდობის პირველი მოვალეობაა—სწავლა, ვინაიდან ბრძოლისა და მუშაობისათვის საჭიროა ცოდნა“. ყრილობამ გაუგზავნა მისალმება ლენინს. არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტი.

მოსავლის შედეგები.

რუსეთის სასურსათო სახ კომისარიატის ცნობით რ. ს. ფ. ს. რ. ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ ეხლახან დაამთავრა 1922 წლის მოსავლის შესახებ მთელი სტატისტიკური მასალის დამუშავება.

საერთოთ მოსავლის მთელი პროდუქცია უდრის დაახლოვებით 2000 მილიონ ფუთს. წმინდა პროდუქცია—1650 მილ ფუთს. სულზე საერთო პროდუქცია—26,1 ფუთი, წმინდა—21,7 ფუთი, უკრაინის საერთო პროდუქცია გამოანგარიშებულია 830 მილ. ფუთი, წმინდა—730 მილ. ფუთი, რაც შეადგენს სულზე საერთო 39,2 ფუთს და წმინდა პროდუქცია 34,5 ფუთს.

ორივე რესპუბლიკებში საერთო პროდუქცია უდრის 2.730 მილიონ ფუთს ე. ი. 29,9 ფუთს სულზე. წმინდა პროდუქცია—2380 მილიონ ფუთს ე. ი. 24,4 ფუთს სულზე.

ასეთია დაახლოვებით რ. ს. ფ. ს. რ და უ. ს. ს. რ. პურის მოსავლის საერთო და წმინდა პროდუქცია, ამასთანავე მხედველობაში არ არის მიღებული მინდვრების და ბოსტნების კართოფილის პროდუქცია, რომელიც თუ გადავიტანთ მარცვლეულზე უდრის დაახლოვებითი გამოანგარიშებით—250 მილ. ფუთს.

რ. ს. ფ. ს. რ. სოფლის მცხოვრებთა სასურსათო და საკვები მოთხოვნილება უდრის 1188 მილ. ფუთს, ქალაქის—127 მილ. ფუთს, სულ კი—1315 მილ. ფუთს. უკრაინაში სოფლის მცხოვრებთა სასურსათო და საკვები მოთხოვნილება უდრის 444 მილ ფუთს, ქალაქის კი—48, მილიონ ფუთს, სულ—492 მილ. ფუთს.

ორივე რესპუბლიკებში სოფლის მცხოვრებთა სასურსათო და საკვებო მოთხოვნილება უდრის—1682 მილიონს, ქალაქის—175 მილიონ ფუთს, სულ—1807 მილიონ ფუთს.

საერთო მოსავლის მოთხოვნილებასთან შედარებით მომხმარებელ რაიონებში ჩვენ მივიღებთ შემდეგ სურათს: წმინდა ნარჩენს შეუძლია მხოლოდ სოფლის მცხოვრებთა მოთხოვნილების დაფარვა და არავითარი ნარჩენი არ იქნება.

მწარმოებელ რაიონს აქვს ნარჩენი—254 მილიონი ფუთი, იმ შემთხვევაში თუ ნორმა სულზე იქნება 16 ფუთი, მაგრამ თუ ეს ნორმა გადიდდება 21 ფუთამდე, ნარჩენი გაქრება.

ქალაქის მცხოვრებთა მოთხოვნილება მიმდინარე წელს უდრის 18 მილიონ ფუთს, რომელსაც ფარავს ზემოხსენებული ნარჩენი 254 მილ. ფუთის რაოდენობისა.

სამეურნეო ფრონტზე.

მოსკოვი. 20 ოქტ. დაიწყო მუშაობა ხარკოვის ორთქლმავალის მქეთებელმა ქარხნამ, რომელიც არის მძიმე ინდუსტრიაში ერთ უდიდეს ქარხანათაგანი. პირველ დღეს მუშაობდა 600 კაცი. 1 ნოემბრისათვის მუშათა რიცხვი გადიდებულ იქნება 3.000 მდე.

ბრძოლა უმუშევრობასთან.

მოსკოვი. 19 ოქტ. უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით ეკატერინოსლავში ეწყობა საზოგადოებრივი სამუშაოები. განძრახულია შაბათობის და კვირაობის მოწყობა უმუშევართა დასახმარებლად.

სათესი კამპანია.

მოსკოვი. 20 ოქტ. საზამთრო სათესი კამპანია თათართა რესპუბლიკაში შესრულებულია 100 პროც.

— დონის პირველ ოლქში დათესილია 225 პროც. საზამთრო კლინის.

სკოლა.

მოსკოვი. 19 ოქტ. სკოლის კრიზისი ცარიცინში დამაკმაყოფილებლად დამთავრდა ქალაქში არსებობს 49 სკოლა 13 ნახ. ათასი მოწაფით. სკოლები უზრუნველყოფილია სათბობით.

ამხ. ლიტვინოვის დაბრუნება.

მოსკოვი. 20 ოქტ. საგარეო საქმეთა სახ. კომისარის მოადგილე ლიტვინოვი დაბრუნდა საზღვარ გარეთიდან მოსკოვში.

ვაჭრობა საზღვარ გარეთთან.

მოსკოვი. 19 ოქტ. მოსკოვში ჩამოვიდენ გერმანიის, შვეციის და ჩეხო სლოვაკიის მსხვილი მრეწველობის წარმომადგენლნი. ჩამოსულთა შორის არის კრუპპას ფირმის დირექტორი და გერმანიის მსხვილ ორთქლმავალის დამმზადებელ ფირმის წარმომადგენელი.

რუსეთ გერმანიის ხელშეკრულების გამო.

მოსკოვი. 21 ოქტომ. პეტროგრადში ჩამოვიდა გერმანიის მსხვილ სავაჭრო კავშირის „მერკაცორის“ წარმომადგენელი. ის ჩამოსვლა დაკავშირებულია რუსეთ გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულებისათვის მასალების დამზადებასთან.

საზამთრო სასახლე

მოსკოვი. 21 ოქტ. ყოფილი საზამთრო სასახლე გადადის ერმიტაჟის გამგებლობაში.

პეტროგრადის საბჭოს ხელახალი არჩევნები.

მოსკოვი. 21 ოქტომბ. პეტროგრადის საბჭოს არჩევნების პირველ დღეს არჩეულია 141 კომუნისტი და 10 უპარტიო. ვასილევ ოსტროვის რაიონის სტუდენტებმა დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საბჭოში 35 კომუნისტი და ორი უპარტიო. სტუდენტებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ლენინს, ტროცკის და სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომს.

საქონელი ნორვეგიიდან.

მოსკოვი. 21 ოქტ. პეტროგრადში მისულმა ნორვეგიის რუსეთთან ვაჭრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საზოგადოება ახლო მომავალში გამოგზავნის რუსეთში სხვა და სხვა საქონელს.

მილიციის გაწმენდა.

მოსკოვი. 21 ოქტომ. მთავარი მილიცია შეუდგა მილიციიდან უვარგის ელემენტების გაწმენდას.

თესვის კამპანია.

მოსკოვი. 20 ოქტ. ბაშკირეთში დაითესა 450.000 დეს. მიწა – 300 000 დეს. მეტი ვიდრე იყო შარშან. ნათესები საშუალოა, ზოგან კარგიც.

ვაჭრობა სპარსეთთან.

მოსკოვი. 20 ოქტ. ასტრახანში ეწყობა ვაჭრობა სპარსეთთან, სადაც იგზავნება სპილენძი, თოკი, ქაღალდი, მანუფაქტურა და ხე-ტყის მასალა. სპარსეთიდან ყოველდღე მოდის ბრინჯის და ქიშმიშის პარტიები.

ქალაქის საბჭოს არჩევნები.

მოსკოვი. 20 ოქტ. პოკროვსკის ქალაქის საბჭოში არჩეულია 213 კომუნისტი.

ოქტომბრის ზეიმისათვის.

მოსკოვი. 20 ოქტ. სერპუხოვში ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავზე საფაბრიკო რაიონებში გაიხსნება ორი საბავშვო ბაღი. მუშათა ბავშვებს დაურიგდებათ წიგნები.

საპროკურორო ზედამხედველობის მოღვაწეობა.

მოსკოვი. 21 ოქტომბერი. რესპუბლიკის საპროკურორო ზედამხედველობამ მისცა პასუხისგებაში 48 სახელმწიფო ტრესტი, მოსამსახურეების აღწერის შესახებ დეკრეტის თავის დროზე აუსრულებლობის გამო.

— იუსტიციის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა ადგილობრივ პროკურატურის უახლოესი ამოცანები: ზედამხედველობა ადგილობრივ საფინანსო ორგანოების მოღვაწეობისადმი, ზედამხედველობა გადასახადით დაბეგვრის ჩატარებისათვის, ადგილობრივ ხელისუფლების დადგენილებათათვის თვალყურის დევნება საბინაო, მუნიციპალიზაციის, დემუნიციპალიზაციის, რეკვიზიციის და კონფისკაციის საკითხების შესახებ. ერთ ერთ უდიდეს ამოცანას პროკურატურისათვის წარმოადგენს ბრძოლა თანამდებობით ბოროტმოქმედებასთან.

მიწა ტყის მუშების კონგრესი.

მოსკოვი. 21 ოქტომ. მიწა ტყის მუშაკთა კავშირის ცეკამ მიიღო საფრანგეთის მიწა ტყის მუშაკთა კავშირისაგან, რომელიც ემხრობა პროფინტერნს, მიწვევის ცნობა კავშირის მომავალ კონგრესზე

სრულიად რუსეთის საექიმო სანიტარულ შრომის მუშაკთა კავშირის ყრილობა.

მოსკოვი. 21 ოქტომბერი. 29 ნოემბრისათვის მოწვეულია საექიმო—სანიტარულ შრომის მუშაკთა კავშირის სრულიად რუსეთის ყრილობა.

უკრაინა

სრულიად უკრაინის ცენტ. აღმასკომის სესია.

მოსკოვი 19 ოქტ. სრულ. უკრაინის ცენ. აღმასკომის მე 3 ე სესიის უკანასკნელი სხდომა გადაიქცა უკრაინის ხალხის მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკასთან ერთობის საგრძნობ დემონსტრაციათ. მიღებულია რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ სრულ. უკრაინის ცენტ. აღმასკომის სესია, ხაზს უსვამს რა საბჭოთა რესპუბლიკების თავის ნებითი კავშირს, ავალებს მთავრობას აწარმოვოს მოლაპარაკება საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობებთან საერთო-საკავშირო საკანონმდებლო და პოლიტიკური ორგანოების შესაქმნელად.

უკრაინის კომ. პარტიის ცენტ. კომიტეტის ორგანო „კომუნისტი“ განმარტავს: „ახალ ეკონომიურ პოლიტიკას შეუძლია გამოიწვიოს რუსეთის, როგორც სეპარატიული, ისე თვითმყრობელი ტენდენციები. ამიტომ უკრაინა წინადადებას აძლევს მოკავშირე რესპუბლიკებს შექმნან საბჭოთა რესპუბლიკების უფრო მჭიდრო კავშირი“.

სრულიად უკრაინის ცენტრალური აღმასკომის სესიამ წინადადება მისცა სახ. კომისართა საბჭოს გააძლიეროს უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი.

სესიამ მიუწერა გუბერნიის აღმასკომებს გააძლიერონ ადგილობრივ საშუალებათა ასიგნაცია ამ მიზნისთვის, საბჭოთა ხელისუფლების უფლების ყველა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ შრომის ბირჟის მუშაობის გაუმჯობესებას, სასტიკად უნდა იქნას დაცული ვალდებულება სოციალური დაზღვევის შესახებ, პირველ რიგში საჭიროა დახმარების აღმოჩენა კვალიფიცირებულ პროლეტარიატისათვის და უმუშევარ ქალების არტელების დაარსება.

დახმარება პოლონეთის კომუნისტებს.

მოსკოვი. 19 ოქტ. პოლონეთის კომუნისტების დახმარების კვირეული კიევში დიდის წარმატებით ჩატარდა. შეგროვებულია საგრძნობი თანხა.

სასურსათო გადასახადი უკრაინაში.

მოსკოვი. 20 ოქტ. უკრაინაში სასურსათო გადასახადის აკრეფა გაცხოველებულად მიმდინარეობს. ბევრ გუბერნიებში ფიქრობენ გადასახადის აკრეფის დამთავრებას ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავისათვის.

უკრაინის ხალხი.

მოსკოვი. 20 ოქტ. უკრაინის ფუხარა ხალხის („ნეზამოჟნიე“) კომისიამ გამოიტანა დადგენილება, რომელიც მიმართულია ფუხარა ხალხის გავლენის განმტკიცებისაკენ. გადასწყდა გატარებულ იქნეს უმაღლეს ორგანოს საშვალებით დადგენილება ფუხარა ხალხის კომისიებისათვის სესხის მიცემის შესახებ. კომისიამ გადასწყვიტა 1923 წლის 1 მაისს მოიწვიოს სრულიად უკრაინის ფუხარა ხალხის ყრილობა.

მიწა ტყის კავშირის მუშაკთა სრულიად უკრაინის ყრილობა.

მოსკოვი. 20 ოქტ. გაიხსნა სრულიად უკრაინის მიწა-ტყის კავშირის მუშაკთა ყრილობა. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ რაკოვსკიმ, მიესალმა რა ყრილობას სთქვა, რომ ყრილობა იწყებს უკრაინის სასოფლო მეურნეობაში ახალ ერას. ამ მიზნისათვის გადადებული იქნება 15—20 ტრილიონი მანეთი.

სომხეთი.

ახალი სამხედრო კომისარი

ერევანი. 20 ოქტომბერი. 17 ოქტომბრის სხდომაზე ცენტრალურმა აღმასკომმა დანიშნა სახალხო სამხედრო კომისრის თანამდებობაზე გაიკ ბჟიშკიანი.

მილიციის დღე.

მუშათა და გლეხთა მილიციის დღეთ დანიშნულია 12 ნოემბერი.

დასავლეთის სომხების შორის

დასავლეთის სომხების მშრომელთა კავშირის გამგეობამ გადასწყვიტა მიიღოს აქტიური მონაწილეობა ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავის დღესასწაულში.

სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო.

სასურსათო სახალხო კომისარიატის განკარგულებით, უკანასკნელის სავაჭრო დაწესებულებები ერევანში გადაეცა სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს გადაეცა ყველა სამაზრო სავაჭრო დაწესებულებები. საქონელის გადაცემა მოხდება ამ დღეებში.

მარცვლეული.

ნოემბერში და დეკემბერში რუსეთიდენ მოელიან სომხეთისათვის მარცვლეულის საკმაო რაოდენობას.

ეჩმიაძინის არხი. ეჩმიაძინის სარწყავი არხის გახსნა მოხდება ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავის დღესასწაულის დღეს. ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს არხის ბეტონებით გამაგრებისათვის. ყოველდღიურად მუშაობს 500 დე მუშა. არხის სიგრძე უდრის—23 ვერსს.

ბამბის კამპანია. ბამბის მომზენებელი კომიტეტმა დ[illegible] თის ბამბის—საწმ[illegible] ველ რიგში გაიწმინდება 10,000 ფ. ბამბა. კომიტეტმა დაგზავნა სომხეთის ყველა მაზრებში რწმუნებულები ადგილობრივ თათბირების და ყრილობების მოსაწყობად, სადაც დასმული იქნება საკითხი სომხეთში ბამბის კულტურის განვითარების შესახებ. მცხოვრებლები თანაგრძნობით ეპყრობიან ამ ახალ ზომებს.

საბჭოთა საქართველოში

აჭარა

დამშეულთა დამხმარე კომიტეტის ორკვირეული

ბათომის დამშეულთა დამხმარე კომიტეტის ორკვირეულმა ვერ გაამართლა სავსებით მოლოდინი. შემოვიდა 720 მილ. ქართული ბონებით, 161 ოსმალური ლირა და 20 ტომ. ფქვილი. დამშეულთა დამხმარე კომიტეტი ეძებს საშუალებებს იმისათვის, რათა მომავალში უზრუნველყოს მუდმივი შემოსავალი.

თავშესაფარი უპატრონო ბავშვებისათვის.

დამშეულთა დამხმარე კომიტეტს განზრახული აქვს ბათომში გახსნას თავის ხარჯზე თავშესაფარი უპატრონო ბავშვებისათვის.

პარტიული ცხოვრება

ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის საერთო-საქალაქო კრება

რეზოლიუცია ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების გამო.

„მოისმინა რა ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება, ს. კ. პ თბილისის ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება, ჯარში მომუშავე კომუნისტებთან ერთად მხურვალედ ესალმება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექნის იდეას, რომელი კავშირის შემადგენლობაში ხელშეკრულებით საფუძვლებზე შევლენ: რ. ს. ფ. ს. რ., უკრაინა, ბელორუსია და ამიერკავკასიის ფედერაცია.

ეს ახალი, მსოფლიოში უნახავი თანასწორთა ძმური კავშირი—სავსებით შეეფერება ინტერესებს საბჭოთა ქვეყნების მშრომელ ხალხებისას, რომელთა პოლიტიკური და ეკონომიური განვითარება მოითხოვს მათ გაერთიანებას საბჭოთა ერთიან მძლავრ კავშირში კაპიტალის წინააღმდეგ“.

კრების ანგარიში დაიბეჭდება.

ანგარიში ტყიბულის რაიპარტკომის მუშაობის შესახებ ა. წ. 1 ლ იანვრიდან 15 სექტემბრამდე.

(დასასრული)

ქალთა შორის მუშაობა სიძნელეს წარმოადგენს და აქ ასეთი მუშაობა ნელი ნაბიჯით მიდის. ჩვენ ვცადეთ ქალთა წრეების დაარსება და მათში სისტემატიური მეცადინეობის წარმოება, მაგრამ ეს ვერ შევსძელით. დრო გამოშვებით ვიწვევდით ქალთა კრებებს, სადაც კეთდებოდა მოხსენებები ქალთა საკითხზე, მიმდინარე მომენტზე და სხვა.

სულ ასეთი კრება მოვიწვიეთ რვა. ამას უფრო ვახერხებდით ჩვენ მაღაროების მუშა-მოსამსახურეთა შტატების შემცირებამდე, მას შემდეგ კი ასეთი კრებების მოწვევაც ძნელია და ჩვენ ვცდილობდით საერთო კრებებზე მასაკაცებთან ერთად მიგვეწვია ქალებიც და კიდევაც ეს ასე ხდებოდა.

საერთოდ როგორც ვთქვით, ქალთა შორის მუშაობა, მრავალ დამაბრკოლებელ მიზეზების გამო ძლიერ სუსტობს.

პირველ ხანებში კომკავშირთან ვერ იყო სათანადო დამოკიდებულება. მაგრამ ჯერ კიდევ წასულ 1921 წელში ქუთაისის სამპარტკომიდან მივიღეთ ინსტრუქციები, რათა თვეში ერთხელ ყოველთვის გაგვემართვა კომკავშირის და კომპარტიის გაერთიანებული კრებები და კომკავშირში საშუშაოდ მიგვეჩინა ერთი რომელიმე პასუხისმგებელი ამხანაგი. კიდევაც ამის შემდეგ ჩვენ ყოველთვის ვიწვევდით ასეთ კრებებს და კომკავშირში სამუშაოდ მიუჩინეთ რაიპარტკომის ინსტრუქტორ ორგანიზატორი ამხ. იაკობ ახობაძე.

მაისში პარტიისა და კომკავშირის დაახლოვების ორკვირეულის ჩატარების შემდეგ ჩვენ ყველა იაჩეიკებში, სადაც კი არსებობს კომკავშირის იაჩეიკაც დავაწესეთ წარმომადგენლობითი სისტემა, რათა ყველა სხდომებს, საერთო პარტიულ კრებებს, იაჩეიკის სხდომებს და სხვას, ესწრებოდეს კომკავშირის წარმომადგენელი და პირიქით კომკავშირის კრებებს ესწრებოდეს პარტიის წარმომადგენელი.

შეერთებული კრებები მოვაწყვეთ: იანვარში—1, თებერვალში—1, მარტში—1, აპრილში—1, მაისში—4, (ჩატარებულ იქნა დაახლოვების ორკვირეული). ივნისში—2, ივლისში—5, აგვისტოში —2, სექტემბერში —1, სულ – 18

გაირჩა კითხვები; 1. მიმდინარე მომენტი, 2. ახალგაზრდობის მოძრაობა და ორგანიზაციული კითხვები.

რაიონში არსებობს ერთი მნიშვნელოვანი პროფესიონალური კავშირი ტყიბულის რაიონის სამთომადნო მუშებისა. ამ კავშირთან ჩვენ მჭიდრო დამოკიდებულება გვაქვს. მის გამგეობაში მხოლოდ ჩვენი ამხანაგებია და გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი არის იმავე დროს პარტკომის პრეზიდიუმის წევრი. საერთოდ პროფკავშირის მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

კოოპერატიული მუშაობა ამ რაიონში სუსტია. არსებობს მხოლოდ ორი ცოტათ თუ ბევრათ მნიშვნელოვანი კოოპერატივი: ერთი ტყიბულის მაღაროებში და მეორე ხრესილში. გამგეობაში აქ არიან ჩვენი ამხანაგები და შეძლების და გვარათ მუშაობენ. სხვათა შორის, ძალების ნაკლებობაც გვიშლის ხელს საქმე უფრო ფართოთ დავაყენოთ.

პროფკავშირებთან, მაღაროების წარმოებასთან, აღმასკომებთან, მილიციასთან და სხვა ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირის გასაბმელად ჩვენ ვიწვევთ დროგამოშვებით ასეთების თათბირს, სადაც ვეცნობით მათ მუშაობას, ვაძლევთ სათანადო ინსტრუქციებს, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა იქონიონ ჩვენთან და სხვა. ასეთი თათბირი ჩვენ მოვიწვიეთ ორი: პირველი 25 იანვარს და მეორე 22 მარტს. თათბირზე გაკეთდა მოხსენებები მიმდინარე მომენტზე, პარტიის და საბჭოთა დაწესებულებების დამოკიდებულებაზე, მოხსენებები ადგილებიდან და სხვა.

ამავე თათბირებზე ისმება საკითხები მიწის, სწავლა-განათლების, ბანდიტიზმის და სხვათა შესახებ.

უკანასკნელად თათბირზე გამოტანილ იქნა დადგენილება, რათა დაევალოს მიწის კომისიებს მეტი ინიციატივა გამოიჩინონ, და დააჩქარონ მიწის საკითხის მოგვარება. მაგრამ ამ მხრივ თითქმის არაფერია გაკეთებული ვინაიდან მიწის სიცოტავისა და უნაყოფობის გამო მიწის საკითხის მოგვარება ჩვენში დიდ სიძნელეს წარმოადგენს და მისი ნაჩქარევათ გადაჭრა ძლიერ სჭირს, გელათის ჭალაზე, სოფ. გელათში მხოლოდ ერთი ადგილია ჩამორთმეული, რომელიც იმყოფება ადგილობრივი თემის (კურსების) განკარგულებაში და იქ განძრახულია კულტურული ბაღის გაშენება მაგრამ ჯერ არავითარი ამის მსგავსი არ სჩანს. სკოლების საქმე ცუდ მდგომარეობაშია. სწავლის საქმე შესაფერადაა დაყენებული მხოლოდ სრულ კომპლექტიან შკოლებში, როგორიცაა კურსების, ხრესილის, საწირის და ტყიბულის.

ყაჩაღობა აქ უფრო რაჭის და ჩხარის გადმოსავალ მთებზეა გახშირებული, სადაც იცარცვება მგზავრები და მცხოვრებლებსაც ეცემიან.

ყაჩაღობას აქვს ადგილი კურსების თემშიც, სადაც გადმოდიან ყაჩაღები უმთავრესად სვირის რაიონიდან. ამის წინად დაეცნენ სოფ. გელათში მცხოვრებს და წასულ 6 აგვისტოს კი დაეცნენ გელათის მონასტერს და მოკლეს ერთი მილიციონერი. მილიცია ღებულობს სათანადო ზომებს. მილიციის მხრით ზომების მიღების შემდეგ გადადიან ყაჩაღები სხვა რაიონში და რამდენიმე ხნით მიიმალებიან, რაც რა თქმა უნდა აჭიანურებს მათ შეპყრობას.

კანცელიარიის მუშაობა ჯეროვან დონეზე დგას, ყოველი ცირკულიარები და მიმოწერა თავ თავის დროზე სრულდება და სათანადო საქმეებშია ჩაკერებული. სულ კანცელიარიას აქვს 14-საქმე. სამი შემოსულ გასულ ქაღალდების ჩასაწერი წიგნი, ორი საოქმო და ერთი საფულე წიგნი. გვაქვს აგრეთვე მივლინებაში გაგზავნილ, სხვაგან გადაყვანილ, გამორიცხულ, ჩვენს ორგანიზაციაში მოსულ და რაიონის იაჩეიკის წევრების აღსარიცხავი წიგნაკები.

გვაქვს მიმოწერა თავ თავის დროზე ყოველგვარ საჭირო საქმეებზე რაიონის იაჩეიკებთან და დაწესებულებებთან.

შემოსულია 1 იანვრიდან 1922 წ. 15 სექტემბრამდე ცირკულიარი 94, მოხსენებები ადგილებიდან 53, იაჩეიკის ორკვირეული ცნობები 64, ოქმები იაჩეიკის 148, სხვა და სხვა მასალები, განცხადებები და დეპეშები სულ 267. სულ შემოსულია 656 ქაღალდი. გასულია ამ ხნის განმავლობაში ცირკულიარი 22, სხვა და სხვა მიმოწერა 986 სულ 1008 ქაღალდი.

პ. ტყაბლაძე.

მუშათა ცხოვრება

რკინის გზის მთავარი სახელოსნო.

ამ სახელოსნოში დამზადდა სოღანლუღის ხიდის ჩასაშვებათ ამწევი მანქანა. ამ მანქანას აწევის დროს ჯაჭვი გაუწყდა და იმსხვერპლა მემანქანე და დააშავა მისი თანაშემწე. დახმარებისა და თანაგრძნობის მაგიერ, მკვდარმა და ცოცხალმაც დიდი საყვედური და გაფრთხილება მიიღეს. რა შუაშია აქ მემანქანე, როდესაც აწევის მუშაობას ხელმძღვანელობდა ინჟინერი იუზბაშევი. მემანქანეებმაც და სხვა მუშებმაც ასწიეს ისე, როგორც ინჟინერმა უთხრა. მაგრამ ინჟინერს ვერ გამოუვიდა კარგი ნათქვამი და საბრალო მემანქანე სიცოცხლეს გამოესალმა, ხოლო მისი თანაშემწე დაშავდა. ცხადია ვინაა ამ საქმეში დამნაშავე და საყვედურის კი არა სამართალში მიცემის ღირსი. სწორედ ამაზე იტყვიან ცხენს ვერაფერი დააკლეს და უნაგირი დაამტვრიესო.

ნ. ნონიკაშვილი.

რისთვის არ ესმით.

როგორც მკითხველებს მოეხსენება, მოზარდის ნორმალური სამუშაო დღე 6 საათია, მაგრამ ამ ექვს საათის მუშაობაში ის ღებულობს სრულ სამუშაო დღის—8 საათის ხელფასს. ამის შესახებ არსებობს განსაკუთრებული კანონი და მისი ცოდნა და მისი გაგება თუ ყველას არა, წარმოების სათავეში მდგომს მაინც მოეთხოვება.

სამწუხაროთ, ამ კანონის ცოდნაზე მწყრალათ ბრძანდებიან სასოფლო სამეურნეო იარაღების დამამზადებელი სახელმწიფოს ადმინისტრაციის მართველობის წევრები. ისინი მოზარდებს მართალია 6 საათს ამუშავებენ, მაგრამ ხელფასსაც 6 საათისას უწერენ და არა 8 საათისას. მოზარდებმა ეს გაასაჩივრეს და სახელოსნოს ადმინისტრაციამ მიიღო რამდენიმე მოწერილობა, მაგრამ ადმინისტრაცია ამ მოწერილობებს ყურადღებას არ აქცევს და განაგრძობს თვითნებობას. შრომის დაცვის განყოფილებას მეტი ენერგიული ღონისძიებათა მიღება მართებს მის წინაამდეგ.

ა—რი.

თვალსაჩინო სასწავლო ნივთების სახელოსნო.

ეს სახელოსნო იმყოფება სახალხო განათლების კომისარიატის განკარგულებაში. სახელოსნოში მომუშავე 45 ინტელიგენტი მუშა წინათ სოციალურ კულტურის მუშაკთა კავშირში ითვლებოდენ. ამ რამოდენიმე ხნის წინათ ყველანი ჩარიცხულ იქნა ქიმიკოსთა კავშირში. ამ გარემოებამ ძალიან შეუწყო ხელი აქ მომუშავეთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

შრომის დაცვის კანონები ამ სახელოსნოში სავსებით დაცულია. სისუფთავეა, ნათელი ოთახები, პირსაბანი და სხვა. მომუშავებს დარიგებული აქვს აგრეთვე ხალათები. სახელოსნოს დიდი მომავალი აქვს, ვინაიდან ის ერთად-ერთი სახელოსნოა მთელ კავკასიაში და დიდძალ შეკვეთებს ღებულობს აზერბეიჯანიდან, სომხეთიდან და უკრაინიდანაც კი.

მ—რე.

სამკერვალოებში მომუშავე მუშათა ცხოვრება

ყველგან თითქმის ერთი და იგივე პირობებში უხდებათ მუშაობა სამკერვალოებში მომუშავეთ. მუშაობის პირობები ყველგან ჯოჯოხეთურია. არც ერთ სამკერვალოში არ არის სანიტარულ ჰიგიენური პირობები დაცული. ყველგან შრომის დაცვის კანონები ფეხქვეშ გათელილია. მუშაობენ 9—10 საათს დღეში. არ არის პირსაბანი, პირსახოცი, საპონი და გადადუღებული წყალი. არც ერთ სამკერვალოში არ არის შეძენილი საანგარიშო წიგნაკი. წიგნაკის შეძენას სავალდებულოთ არ თვლიან. კომუნალურ გადასახადის ფულს არ აძლევენ. შევეხები მოკლეთ თვითეულ სამკერვალოების მუშათა მდგომარეობას და მივაქცევ მასზე ვისიც ჯერ არს ყურადღებას.

რელინსონის სამკერვალო.

სამკერვალოში მუშაობს ერთი კაცი. სამუშაო ოთახს არ აქვს სავენტილიაციო ფანჯრები. ჰაერი ძლიერ ცუდია. არ არის დაცული ჰიგიენური პირობები. მუშასთან ერთად მუშაობს თვით ხაზეინიც. მაგრამ ხაზეინი იწყებს მუშაობას ჰიგიენურად უფრო კარგ ოთახში, ვიდრე მუშა. საანგარიშო წიგნაკი არა აქვს. მუშას ერგება კომუნალური 300.000 მან. თვეში, მაგრამ „ხაზეინი“ უარზეა. „კომუნალურის გადახდა ჩემ შეძლებას აღემატებაო, იძულებული ვიქნები სამკერვალო დავხუროო“. ასე სურს რელინსონს კომუნალური გადასახადიდან თავის დახწევა.

ფიშილევიჩის ტანისამოსების სამკერვალო.

ამ სამკერვალოში მუშაობს 5 მუშა. მუშების მდგომარეობა აუტანელია. შრომის დაცვის კანონებზე ლაპარაკი ზედმეტია. მუშებს ისეთ პირობებში უხდებათ მუშაობა, რომ ასეთ პირობებში მათი მუშაობის გაგრძელება ყოვლად დაუშვებელია. მუშაობას ეწევიან ისეთ ოთახში, რომ ერთი საათით გაჩერებაც კი შეუძლებელია იქ, არამც თუ მთელი დღე და ღამე. ოთახი ძლიერ პატარა არის და მუშაობისათვის ყოვლად დაუშვებელია სანიტარულის მხრივ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გარდა ტანისამოსის სამკერვალოსი, ასეთ პატარა ოთახში არსებობს ფეხსაცმლების სახელოსნოც, სადაც მუშაობს ორი კაცი. ასეთი პატარა ოთახი და ისიც ყოვლად დაუშვებელი ჰიგიენურის მხრივ, შვიდი კაცის სამუშაოთ პირდაპირ წარმოუდგენელია.

ოთახს არ აქვს სავენტილიაციო ფანჯრები, არა აქვს ფეჩი, ნივთები შიგნით მინგრეულ-მონგრეულია. არ არის არაფერში წესრიგი. ნახშირისათვის არ არის განსაკუთრებული ყუთი. ერთი სიტყვით, ეს ოთახი საკუჭნაოს უფრო მიაგავს ვიდრე სამუშაო ოთახს. ოთახის წინა შესასვლელში არის ორმოები, რომლიდანაც საშინელი სიმყრალის სუნი ამოდის. ამ ორმოების დაუდევრად დატოვება მუშების ჯანმრთელობას შეარყევს. ერთი სიტყვით შემდეგში მუშაობის გასაგრძელებლად აუცილებელი საჭიროა შენობის კაპიტალური რემონტი. წინააღმდეგ შემთხვევაში მუშაობის გაგრძელება ასეთ პირობებში სრულიად უნდა აიკრძალოს. სამკერვალო მოკლებულია აგრეთვე: პირსაბანს, საპონს, პირსახოცს და გადადუღებულ წყალს. როგორც ჩანს ასეთ სამკერვალოში კიდევ აპირებს „ხაზეინი“ სამი კაცის მიმატებას. იმედია ამ გარემოებას ყურადღება მიექცევა ვისგანაც ჯერ არს. აუცილებლათ უნდა აიკრძალოს ორის სახელოსნოს მუშაობა ასეთ ოთახში. დატოვებული უნდა იქნეს ან ფეხსაცმლების სახელოსნო და ან სამკერვალო. თუ ვინიცობაა მუშების მდგომარეობა არ შეიცვალა, ასეთი გარემოება დასნეულებას უქადის მუშებს.

ბიტენსკის სამკერვალო.

სამკერვალოში მუშაობს 3 მუშა, მუშები მიღებულნი არიან სამსახურში კავშირის და ბირჟის გარეშე. შრომის დაცვის კანონები ძლიერ ცუდად ტარდება. მუშაობას იწყებენ დილის 8 საათიდან და ათავებენ საღამოს 7 საათზე. სამუშაო აღებული აქვთ ნაჭრობით, ბინა არა არის დამაკმაყოფილებელი, ოთახს არ აქვს სავენტილიაციო ფანჯრები, რის გამოც ჰაერი ძლიერ ცუდია. ოთახში არ არის საკმაო სინათლე. აუცილებლათ საჭიროა კედელში ფანჯრის გამოჭრა. სამკერვალოს არა აქვს აგრეთვე პირსაბანი, პირსახოცი, გადადუღებული წყალი და საპონი. მუშებს კანონით ერგებათ კომუნალური, მაგრამ „ხაზეინები“ ვერ ურიგდებიან ამას და ცდილობენ რამეფრით აიცილონ.

მუშებს დათხოვნითაც კი ემუქრებიან—სამკერვალო ვერ შესძლებს ამდენი ხარჯების გაღებასო.

საერთოდ ხაზეინები უდიდეს სიძუნწეს იჩენენ სრულიად უბრალო საკითხებშიაც. სამკერვალოს არა აქვს შეძენილი საანგარიშო წიგნაკი. როდესაც სამკერვალოს მეპატრონეს დაეკითხა შრომის ინსპექტორი ამ გარემოების გამო, მან უპასუხა: წიგნაკების შეძენა რა ჩვენი საქმე უნდა იყოს. ჩვენ ფულს ვაძლევთ მუშებს და თითონ შეიძინონო ასე მსჯელობენ „დინჯი ხაზეინები.“ მათ ვერ გაუგიათ, რომ მათ მიერ მიცემული შრომის ხელფასი, დღიურ მოთხოვნილებასაც ვერ დაუკმაყოფილებს მუშებს.

მოხიარულე

არტურ ლეისტი

(მისი 40 წლის იუბილეის გამო)

დღეს, 22 ოქტომბერს, სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში საქართველოს ხელოვნების მუშაკთა მთავარ კომიტეტის ინიციატივით იდღესასწაულებენ გერმანელ მწერლის არტურ ლეისტის ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლის იუბილეს.

1882 წ. ლეიპციგის ჟურნალში Ma ga sin für die literatur des jn-und Auslandes“ დაიბეჭდა არ. ლეისტის პირველი წერილი ამ სათაურით, „მივიწყებული ლიტერატურა“, რომელიც შეეხებოდა საქართველოს ლიტერატურას. და მას შემდეგ არტურ ლეისტი დაუღალავად განაგრძობს მუშაობას საქართველოს და სომხეთის ისტორიის, კულტურის და ლიტერატურის შესასწავლად.

ა. ლეისტი დაიბადა ბრესლოვლში (სილეზიის სატახტო ქალაქი) 1852 წელ. ბრესლოვლის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ის შეუდგა ლიტერატურის შესწავლას.

ვარშავაში ყოფნის დროს გაეცნო პოეტ—ვიკტ. გომულიცკის, გენრიხ სენკევიჩს, ბოლესლავ პრუსს და პოლონეთის მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრების ბევრ სხვა წარმომადგენლებს.

ა. ლეისტის წერილებს პოლონეთის ცხოვრებაზე ქალაქებში და სოფლებში, თეატრის, მუსიკის, მხატვრობის და სხვათა შესახებ, დიდი ინტერესით კითხულობდენ, როგორც გერმანიაში, ისე პოლონეთში თარგმნებში და ამონაწერებში.

გერმანიის პოეტმა ბოდენ შტედტმა პირველად დააინტერესა ახალგაზრდა მწერალი აღმოსავლეთით და განსაკუთრებით საქართველოთი; და ამის შედეგი იყო ის, რომ მან შეისწავლა ქართული ენა, ისტორია და ლიტერატურა საქართველოსი. ერთი წლის გულმოდგინე მუშაობამ მოგვცა ნაწარმოები, რომელიც ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ ზემოდ—„მივიწყებული ლიტერატურა“ (თარგ. ქართულად და რუსულად)

შემდეგ პოეტმა ილია ჭავჭავაძემ არ. ლეისტი მიიწვია თბილისში სადაც ის გაემგზავრა. მისი საქართველოში მისვლა ლეისტმა აღწერა ცალკე წიგნში „georgien“ რომელიც 1886 წელს გამოვიდა ლეიპციგში გერმანულ ენაზე; ხოლო იმავე წელს—ვარშავაში პოლონური თარგმანით. ამავე წელს არ. ლეისტმა გამოუშვა ლეიპციგში ქართველ პოეტების მისი თარგმანის პირველი გამოცემა. ეს წიგნი პირველი აცნობს ევროპას საქართველოს გონებრივ ცხოვრებას.

ამავე წელს ილია ჭავჭავაძის და ივანე მაჩაბელის დახმარებით დაწყებული თარგმანი საქართველოს მე 12 საუკ. სახელოვანი პოემის შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი“ სა დაამთავრა იუბილიარმა 1889 წელს. ეს გერმანული თარგმანი ლექსად პირველი იყო ევროპაში და გამოიცა დრეზდენში 1890 წელს.

ასეთივე ინტერესს იჩენს არ. ლეისტი სომხეთისა და მისი კულტურისადმი. 1886 წ. ლეისტი ბეჭდავს თავის „სომხურ ესკიზებს“, ათი წლის შემდეგ იბეჭდება მისი თარგმანი „სომხეთის პოეტები“ და ეხლა მან დაამთავრა დიდი წიგნი—სომხეთის ხალხი, აქ მას დიდი სამსახური გაუწია განსვენებულმა პუბლიცისტმა აბ. არტ. იონისიანმა, აგრეთვე დამსახურებულმა პოეტმა ოვანეს თუმანიანმა და სხვ.. 1906 წ. ა. ლეისტი ადგილობრივ ნემცების ახალშენის სხვა წევრებთან ერთად აარსებს თბილისში ნემეცურ გაზეთს „კაუკაზიშე პოსტ“.

არ. ლეისტის კულტურული მუშაობა დიდია: 40 წლის განმავლობაში ის აცნობს ევროპას საქართველოს და სომხეთს და თუ სომხეთის და საქართველოს შესახებ ევროპაში ბევრი იციან, ეს უნდა მიეწეროს, უპირველეს ყოვლისა, ა. ლეისტის ღვაწლს.

არ. ლეისტის კვირის იუბილე წარმოადგენს დიდ კულტურულ დღესასწაულს ინტერნაციონალურ მუშაკისა, რომელმაც თავისი სიცოცხლის წლები შესწირა ხალხთა დაახლოვებას და მათ შორის ძმობის დამყარებას.

ვიგო.

ქრონიკა

◆ **ვერის ბორანი.** თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა მიანდო კომუნალურ განყოფილებას გამოარკვიოს ვერის ბორანის მდგომარეობა.

◆ **დარაბები.** თბილისის აღმასკომის საფინანსო განყოფილებასთან დაარსებულმა კომისიამ, რომელსაც დაევალა ქალაქის საკუთრო სამრეწველო წარმოებათა დათვალიერება, ამთავრებს მუშაობას 1, 9 და 12 რაიონის დათვალიერებას.

◆ **სტატისტიკური აღწერისათვის** სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო უკვე შეუდგა სამრეწველო დაწესებულებათა აღწერას ქ. თბილისში. აღწერაზე მუშაობს 31 რეგისტრატორი; თვითეულ რეგისტრატორს მიჩენილი აქვს თითო საალწერო უბანი. მუშაობა მიმდინარეობს ნორმალურათ; ორ დღეში აღწერილ იქნა 60-მდე სამარ. დაწესებულება.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა.

„კარმენი“.

ამ ოპერის ღირსების დასაცავად ხშირად კრიტიკოსებს მოჰყავთ ფ. ნიცშეს აზრი. რასაკვირველია, არა როგორც მუსიკოსის ავტორიტეტით, არამედ მსოფლიოს შემეცნებით. ცნობილია, რომ ნიცშეს უტეხი ნების ყოფა გამსჭვალული იყო ნიჰილიზმით, განსაკუთრებით მუსიკის მიმართ. მაგრამ საკმაო იყო მხოლოდ ერთი „კარმენ“, რომ მუსიკალური ხელოვნება, ყველა ხელოვნების დარგზე მაღლა დაეყენებინა ნიცშეს.

ფ. ნიცშე დიდად აღტაცებული იყო ბიზეს ოპერით და მართლაც „კარმენ“-ში ბევრი რამ არის საექსტაზო.

შმაგი ტემპერამენტი, ესპანეთის მელოდიების ექზალტაცია, სამხრეთის მცხუნვარე მზის სხივებით რომ არის დათენთილი, ოპერის დასრულებული წმინდა ფაქტურა, მუსიკალური ფიგურაციებით აღსავსე—ოპერა „კარმენ“ წარმოადგენს იმ დაუშრეტელ წყაროს, რომელიც ყველას მოუკლავს წყურვილს ვინც დაეწაფება წმინდა ხელოვნების კათარზისს.

ეს ოპერა დაიდგა 20 ოქტომბერს. და ვერ ვიტყვით, რომ მისი შესრულება დამაკმაყოფილებელი ყოფილიყოს. მთავარ პარტიას მღეროდა ფატი მუხტაროვა. ხმა საშუალო სიძლიერისა აქვს. მისი მეცცო სოპრანოს არა აქვს სირბილე და პლასტიურობა. განსაკუთრებით კი ფ. მუხტაროვა ასცდა სწორე ხაზებს. ფ. მუხტაროვას კარმენი ვულგარულია. მის თამაშში არ იყო ბოშური ექზანტაცია, რომელიც ელექტრონის ძალასავით ყველაზე მოქმედობს და ყველას აჯადოვებს. ასეთი ვულგარობა შეიტანა მუხტაროვას პარტნიორმა ტენორმა ბ. ლევიცკიმ დონ-ხოზეს პარტიაში, განსაკუთრებით უკანასკნელ სცენაში. ყალბი პათოსით რომლითაც უნდოდა მომღერალს ტრაგიულობა გამოეხატა სრული მარცხით დამთავრდა. ვოკალური მხარითაც მოისუსტებდა. მისი ლირიული ტენორი სუსტია იმისთანა მაღალ კადენციებისთვის როგორიც დონ ხოზეს პარტიაშია.

მოქ. გავრილოვი (ტორეადორი) სუსტი იყო. ამ პარტიისთვის საჭიროა კარგი დიდი დრამატიული ბარიტონი დიდი დიაპაზონის რაიც მოქ გავრილოვს არა აქვს. მისი ხმა დახშულია და მაღალ რეგისტრებშიც ვერ იშლება თავისუფლად. გარეგნობითაც ვერ არის მოხდენილი.

ოპერის დადგმა მოქ. ბოგელიუბის შაბლონურია აქ არ სჩანს მხატვრული ალღო. მასსიური სცენები ვერ არის კარგად გაშლილი.

პატარა შენიშვნა:

მაყურებელთა ერთი ნაწილი ოპერის მოსმენას ხელს უშლის. ასეთი ჩურჩული და ლაპარაკი მოქმედების დროს პირდაპირ დაუშვებელია. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს თეატრის ადმინისტრაციამ.

აკმან დიუგაე

—

— **რუსთაველის თეატრი** დღეს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება შალვა დადიანის პიესა „გუშინდელნი“. წარმოდგენა წავა მ. ქორელის რეჟისორობით.

— **ხომალდი.** ამ დღეებში გამოვა ჟურნალი „ხომალდი“ ს. აბაშელის, ობოლი მუშის, ხარიტონ ვარდოშვილის, ვ რუხაძის, ლეო ქიაჩელის, დემნა შენგელაიას, მიხ. ბოჭორიშვილის და ი მოსაშვილის მონაწილეობით.

— **კაზიმირ ტეტმაიერის ნოველები ქართულად.** ქუთაისის სარაიონო კოოპერატივთა კავშირის გამომცემლობამ „უნივერსალური ბიბლიოთეკამ“ გამოსცა ცნობილ პოლონელ მწერლის კაზიმირ ტეტმაიერის ნოველები მიმოზას თარგმანით.

— **ნოე ჩხიკვაძის ნაწერების სრული გამოცემა.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა გარდაცვლილ პოეტის ნოე ჩხიკვაძის ყველა ლექსების წიგნი, პოეტის პორტრეტით. წიგნს აგრეთვე დართული ექნება პოეტის მოკლე ბიოგრაფია ავტორის და კრიტიკული განხილვა.

— **სახელმწიფო ოპერა.** კვირას, 22 ოქტ. საოპერო თეატრში დაიდგმება „აბესალომ და ეთერი“. მონაწილეობას მიიღებენ: ბოკოვა, სარაჯიშვილი, ინაშვილი და სხ. საგანგებოდ მომზადებულია ახალი დეკორაციები და ტანისამოსი. დასდგამს ა. რ. წუწუნავა. ლოტბარობს ვანო ფალიაშვილი.

— **სახალხო სახლი.** დღეს სახალხო სახლში გაიხსნება სახალხო წარმოდგენების სეზონი. წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის პიესა „მსხვერპლი“ შალვა დადიანის რეჟისორობით.

◆ **სახელმძღვანელო** იბეჭდება და ამ თვის დამლევს გამოვა სეით იაშვილის სახელმძღვანელო „ბუნებისმეტყველება“ I ნაწილი შრომის შკოლების პირველი კლასის კურსი (გამოცემა მეექვსე) შევსებული და შესწორებული).

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 7.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

20 ოქტომბერი 1922 წ.

1. ამხ. ს. ქავთარაძე განთავისუფლებულ იქნეს იუსტიციის სახალხო კომისრის თანამდებობიდან ამა 1922 წლის ოქტომბრის 18 დან დაინიშნოს ამ თანამდებობაზე ამხ. ეშბა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**.

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. **კალანდაძე**.

—

ბრძანება
№ 51

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისა.

17 ოქტომბერი 1922 წ.

ქ. თბილისი.

კომისარიატში მიღებული ცნობებიდან ჩანს, რომ ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციამ, მისი უფროსის ხელმძღვანელობის ქვეშ, თავის ენერგიით, მუშაობით და მიზანშეწონილი განსაკუთრებული ზომების მიღებით ბოლო მოუღო მრავალგვარ ბოროტმოქმედებებს, რომელსაც ადგილი ქონდა ამ მილიციის მოქმედებების ფარგლებში.

ამ ნაყოფიერ მუშაობაში განსაკუთრებული ენერგია და გამჭრიახობა გამოიჩინეს შემდეგმა თანამშრომლებმა: საკანდელიძე პროკოფიმ, მიქიაშვილი ვასილმა, ქუთათელაძე ვასილმა, დათიაშვილი შალვამ, ჭაბუკიანი სიმაილმა, დანელია ანდრომ, მამასახლისი არტემმა, სილაკაძე რაჟდენმა საკანდელიძე მიხეილმა და რობაქიძე ავალომ.

ქუთაისის მილიციის ასეთი ნაყოფიერი მუშაობისათვის გულითად მადლობას უცხადებ ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსს ამხ. ნანაძეს და ყველა მისი ღირსეულ თანამშრომლებს და მასთან ვაძლევ მათ ჩემ განკარგულებაში მყოფი თანხიდან ჯილდოს სახით: ამხ. ნანაძეს ხუთ მილიონ მანეთს, ხოლო დანარჩენ ამ ბრძანებაში ჩამოთვლილ თანამშრომლებს, თითოს—თითო მილიონ მანეთს.

ასლი ამ ბრძანებისა გამოცხადებულ იქნას ბრძანებაში რესპუბლიკის მილიციისადმი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. **გეგეჭკორი**.

საქმეთა მმართველი **ჩიქოვანი**.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **ს. კ. პ. ახალი რეგისტრაციის, გაწმენდის და შემოწმების** ცენტრალური კომისია აცხადებს, რომ კომისიის ფუნქციებში არ შედის შუამდგომლობათა განხილვა იმ პირთა პარტიის წევრობის უფლების აღდგენის შესახებ, რომლებიც გამორიცხული არიან პირველი გაწმენდის, ან საკონტროლო კომისიების მიერ.

იმ ამხანაგებს, რომელთაც სურთ იბრუნონ თავიანთ უფლებების აღდგენის შესახებ, სთხოვენ თავი შეიკავონ ცენტრალურ შემმოწმებელ კომისიისათვის ასეთი განცხადებების წარდგენიდან.

ასეთი განცხადებები საერთო წესით განიხილება რუსეთის კომპარტიის ცეკას ცირკულიარის თანახმად.

ცენტრალური შემმოწმებელი კომისია.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე 4 რაიკომი იტყობინება, რომ ა. წ. 18 ოქტომბრიდან მეცადინეობა რაიკომში წარმოებულ იქნება დღის 9—1 საათზე და საღამოს 5—7 საათზე.

— **საქართველოს კომპარტიის წევრთა და კანდიდატთა გაწმენდის მე-4 რაიონის გამწმენდი კომისია** ამით აცხადებს რომ იგი შეუდგა მუშაობას 16 ოქტომბერს.

ყველა იაჩეიკებს ევალება მოაწესრიგოს პარტიის წევრთა პირადი საქმეები და დაუყოვნებლივ წარადგინოს სარაიონო კომისიაში.

იაჩეიკის გაწმენდის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბრალდებები, განცხადებები და მასალები კომპარტიის წევრთა შესახებ მიიღება სარაიონო კომისიის მიერ მე 4 რაიკომის ბინაზე (რუსთაველის პროსპ. № 22) ამხ. უპარტიოებს ვთხოვთ მიიღონ მონაწილეობა იაჩეიკების სხდომებზე გაწმენდის დროს.

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი** განმეორებით და დაჟინებით სთხოვს ყველა იმ პარტიულ ამხანაგებს, რომელთაც უმუშავნიათ ან მუშაობენ განათლების, ლიტერატურის, კულტურის და ხელოვნების დარგში გატარდენ რეგისტრაციაში ტფილისის კომიტეტის საუბნო სტატისტიკურ ქვე განყოფილებაში დღის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ის ამხანაგები, რომელნიც არ გატარდებიან რეგისტრაციაში 25 ოქტომბრამდე სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი პარტიულ დისციპლინის მიხედვით.

— დღეს, 22 ოქტომბერს, დილის 11 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის შენობაში დანიშნულია თბილისის კომიტეტთან არსებულ **საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა,** ხოლო 12 საათზე დანიშნულია პირველი ორგანიზაციული კრება საორგანიზაციო წრისა.

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის** სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება აცხადებს, რომ დღეს, კვირას 22 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე „ახ. ჩოდრიშვილის კეცხოველის“ სახელობის კლუბში (პლეხანოვის პროსპ. № 182) ამხ. ორჯონიკიძე გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე.

„საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობა“.

პროფესიონალური

— კვირას ოქტომბერს 22 (დიდუბის ტაძარში, რუსთაველის პროსპექტი № 13) შესდგება ქართველ მხატვართა კონფერენცია. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) კავშირის უფლებები, 2) ფინანსები, 3) გამომცემლობა, 4) გამოფენების მოწყობა, 5) წესდების განხილვა, 6) დელეგატების არჩევა ხელოვანთა მთავარ კომიტეტში და სხვა.

კრების მომწვევი კომისია სთხოვს ტფილისში მყოფ ქართველ მხატვრებს კრებას დაესწრონ უსათუოდ.

— **ქიმიურ მრეწველობის კავშირი** წინადადებას აძლევს კავშირის ყველა უმუშევარ წევრებს გაივლონ რეგისტრაციაში. (კავშირის ბინა—შრომის სასახლე. ოთახი № 31).

რეგისტრაცია სწარმოებს 16 ოქტ. 25 ოქტომბრამდე—5—7 საათამდის.

ვინც არ გაივლის ამ რეგისტრაციას—ჩაითვლება კავშირიდგან გასულად.

— მელითონეთა კავშირი აცხადებს ყველა იმ წევრთა საყურადღებოთ, რომლებიც მუშაობენ კერძო დაწესებულებებში, გამოცხადნენ ხელახლად რეგისტრაციაზე 23 ოქტომბერს დილის 10 საათზედ (მე 3 სართული ოთახი № 27).

ყველა უმუშევარ კავშირის წევრებს ევალებათ გამოცხადნენ კავშირში ხელახალ რეგისტრაციაზედ 24, 25, 26, 27, 28, 29 და 30 ამ წლის ოქტომბერს. ვინც ზემო აღნიშნულ რიცხვებში არ გამოცხადდებიან ჩაითვლებიან კავშირიდან გამორიცხულათ.

განცხადებები

გულმოკლულნი მამა ალექსი ლეონიძე, დაი თამარ, ძმები: გოგია და მიშა ლეონიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 20 ოქტომბერს, მიხეილის საავადმყოფოში მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

ლიზა ლეონიძე

გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიიდან დღეს, 22 ოქტომბერს დილის 10 საათზე, დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. (445—1—1)

სახელმ აკადემ თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

კვირას, 22 ოქტომბერს
აბესალომ და ეთერი
სამშაბათს 24 ოქტომბერს
აიდა
დასაწყისი სრულ 8 საათზე
მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.
(კრ. 428—1—1)

რუსთაველის თეატრი
სახელმწიფო აკადემიური დრამა
კვირას, 22 ოქტომბერს
„გუშინდელნი“
3 მოქმ. შ. დადიანისა.
დადგმა მ. ქორელის. დასაწყისი სრულ 8 საათზე.
(კრ. 426—1—1)

ცენტროკავშირის
(ЦЕНТРОСОЮЗ)
ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორის
სამმართველო
(„პოკობანკის“ კორესპონდენტი)
ღებულობს
ფულის გადაგზავნას
(Перевод)
ფოსტით და ტელეგრაფით, საბჭოთა რუსეთის ყველა მსხვილ ცენტრებში. მადატოვის, 11, ოთახი 12. 429—2—1

საბჭ. საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცენტრ. სატრანსპორტო განყოფილება

ამით აცნობებს მოქალაქეებს, რომ 22 ოქტომბერს ჯირითის დღეს დილის 10 საათიდან ჯირითის გათავებამდე

დაინიშნება

ავტომობილები

ერევნის მოედნიდან იპოდრომამდე მგზავრების გადასაყვანად. ავტომობილები შეჩერდება ვერის დაღმართზე და კიროჩნი ქუჩის და მიხაილოვის პროსპექტის კუთხეში. ფასი თვითეულ მგზავრისათვის—30,000 მან.

ცენტრალურ სატრანსპორტო საზოგადოების საექსპლოატაციო განყოფილება.

კრ. 417. 1—1

საქ. კომუნისტური ახალგაზრდობის ფურცელი

ჩვენი მუშათა ფაკულტეტი

ეჭვს გარეშეა, პროლეტარული რევოლიუცია, რომელიც გულისხმობს ბურჟუაზიული წესწყობილების ძირიან-ფესვიანად გარდაქმნას თავის რევოლიუციონური წინსვლელობის პროცესში, განსაკუთრებულ მეთოდებს მიუჩენდა გარდაქმნისათვის ძველი საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს და გამომუშავებოდენ კონკრეტიული სახის ღონისძიებანი, რომელთა რეალურად სრულქმნა შესაძლებელს გახდის ახალი ცხოვრების დამკვიდრებას. ამისი მსგავსი მაგალითებით მდიდარი არის ოქტომბრის პროლეტარული რევოლიუცია. ის არ განისაზღვრება მარტოდ საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრებისა და სახელმწიფოებრივ მართველობის ძველ ფორმების სრულ გარდაქმნით, არამედ გამარჯვებული რევოლიუციონური მუშათა კლასი იწყებს ბრძოლას და მუშაობას იდეურსა და კულტურულ ფრონტზედაც. იდეოლოგიურ ფრონტზე გამარჯვებისათვის, ოქტომბრის რევოლიუციამ უმარტივეს ფორმად წამოაყენა მუშათა ფაკულტეტები. არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ძველ საზოგადოებრივ ცხოვრების პირობებში აღზრდილი მოწაფეობა, თანამედროვე სტუდენტობის უმრავლესობა ბურჟუაზიულ იდეოლოგიის გავლენის ქვეშ იმყოფება. ამიტომ ახლო მომავალში, რომ ჰყოლოს პროლეტარულ წრიდან გამოსული სწავლულები: ინჟინრები, პედაგოგები, ლიტერატორები და სხვა, სოციალისტური რესპუბლიკა ცდილობს ფართო გზა გაუხსნას მუშათა ფაკულტეტების განვითარებას. ამ უკანასკნელთ, საფუძველი პირველად ისტორიაში ჩაეყარა რუსეთში, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. მუშათა ფაკულტეტების გახსნის საშვალებით სწავლის მეცნიერების შექმნისათვის მუშაობის ფერხულში ჩაება რამოდენიმე ათი ათასი პროლეტარული ახალგაზრდობა. რ. კ. პარტიის 11 ყრილობამ, მუშათა ფაკულტეტის რიცხვის გადიდება უპირველეს საშვალებათ დასახა, პროლეტარიატის იდეოლოგიური ფრონტზე სრულ გამარჯვების მოსაპოებლად. რუსეთში მიუხედავად სამოქალაქო ომით გამოწვეულ ეკონომიურ კრიზისისა, როდესაც ქვეყნის მართველთა და ხელმძღვანელთა მთავარი ყურადღება მიპყრობილი იყო კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაზე, მაინც მხედველობიდან გაშვებილი არ ყავდა მუშათა ფაკულტეტების გახსნის პირველი გადაუდებელი მომენტი. რუსეთში, მუშათა ფაკულტეტების დაარსების სამი წლის თავზე, **ტროცკიმ**, გაუკეთა რა ჯამი, მიღებულ შედეგებს, ხაზგასმით აღნიშნა მუშათა ფაკულტეტების უდიდესი როლი პროლეტარულ იდეოლოგიის შექმნაში. დღევანდელი მდგომარეობა მუშათა ფაკულტეტებისა რუსეთში, **ტროცკის** თქმით, იძლევა დამაკმაყოფილებელ პერსპექტივებს იმისას, რომ პროლეტარული იდეოლოგია უკვე შეიჭრა ბურჟუაზიულ იდეოლოგიის დაპყრობის სფეროში და იქ ახდენს თავის სასწაულებს. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას, მუშათა ფაკულტეტების კარგ საფუძველზე მოწყობის მეოხებით დღეს ყავს საგრძნობი კადრი პროლეტარული სტუდენტობისა, რომელსაც უკვე აქვს სათანადო მომზადება, რათა თავისი ცოდნით დაუპირდაპირდენ ბურჟუაზიული ეთიკით აღზრდილ მოსწავლე ახალგაზრდობას.

მაგრამ ჩვენთვის საჭირო არის ამ ჟამად ის გარემოება, თუ რამდენათ განხორციელდა ჩვენში რეალურ სინამდვილეში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მუშათა ფაკულტეტის იდეა, იყო თუ არა ის ობიექტიური პირობები, რომელიც ხელს შეუწყობდა მის დაარსებას? ამ მხრივ რის გაკეთება შესძლო **სახალხო განათლების კომისარიატმა და პროფესიონალური კავშირის კულტურულ-განმანათლებელმა განყოფილებამ**, რომელთა უშვალო ხელმძღვანელობით და ინიციატივით უნდა მოეწყო მუშათა ფაკულტეტები. აღნიშნულმა ორგანიზაციებმა შესძლეს თუ არა გამოეყენებიათ ის მდიდარი პრაქტიკა, გამოცდილება, რომელიც ახასიათებს მუშათა ფაკულტეტების დაარსების, მოწყობის და განვითარების ისტორიას რუსეთში? სამწუხაროთ აღნიშნულმა ორგანოებმა თავიდანვე ვერ აუღეს ალღო მუშათა ფაკულტეტების დაარსების საქმეს საქართველოში. **მათ ვერ შეხძლეს გამოეყენებიათ, ხელსაყრელი პირობები, რუსეთთან შედარებით, მუშათა ფაკულტეტების დასაარსებლად.** აქ მათ ხელს არ უშლიდათ სამოქალაქო ომი და მაინც და მაინც არც ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა. ამისი აღნიშვნით რასაკვირველია ჩვენ იმისი თქმა როდი გვინდა, რომ სახალხო განათლების კომისარიატს და პროფესიონალური კავშირის კულტურულ-განმანათლებელ განყოფილებას განზრახ მოსდიოდათ მუშაობის სუსტი წარმოება, მხოლოდ ვერც კი წარმოგვიდგენია, თუ აღნიშნული ორგანოები ამდენ უუნარობას გამოიჩენდენ მუშათა ფაკულტეტების ორგანიზაციის საქმეში, მას შემდეგ, როდესაც მათ ხელთ აქვთ რუსეთის მდიდარი გამოცდილება. აღსანიშნავია შემდეგი, რომ მათი ყოველი ნაბიჯი ამ დარგში, როდესაც ის სწვდება მუშათა ახალგაზრდობის, უმთავრესად კი ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს, ნაცვლად მათში სწავლისადმი ხალისის და ენტუზიაზმის გაღვივებისა, ქმნის რაღაც ინდიფერენტიზმს, როგორც ეს მუშათა ფაკულტეტის მოწყობის საქმისადმი არის დღეს. ამისი მიზეზი, ვიმეორებთ, მდგომარეობს **იმ დაუკვირვებელ მუშაობაში, რომელსაც ზემოხსენებული ორგანიზაციები აწარმოებენ.** მაგალითისათვის ავიღოთ შემდეგი ფაქტები. გასულ წელს ვითომ დაარსებული იქნა თბილისში, პოლიტეხნიკუმთან მუშათა ფაკულტეტი.

მაგრამ ვაი ასეთ დაარსებას.

ის პირობები რომელშიაც ფაკულტეტი იმყოფებოდა, შეუძლებელი იყო ცოდნა შეეძინათ მსმენელებს. სანახევროდ უბინაობა, ლექციების უსისტემობა და მრავალი სხვა, თანამგზავრი შეიქნა მუშათა ფაკულტეტის. მაგრამ მუშათა ახალგაზრდობამ თუ არ მიატოვა ფაკულტეტი ეს მიეწერება **თვით მათ სიმტკიცეს, მონდომებას სწავლის შეხაქენად** და იმ გარემოებას, რომ მსმენელთა უმრავლესობა თბილისის სხვადასხვა წარმოებების მუშები იყვნენ. ამრიგათ ის მუშაობა, რომელიც სახალხო განათლების კომისარიატი და პროფესიონალური კავშირის კულტურულ განმანათლებელი განყოფილება აწარმოებს მუშათა ფაკულტეტის დასაარსებლად, კრიტიკის დაბლა სდგას. ავიღოთ სულ ელემენტარული რამ.

ჯერ კიდევ რამოდენიმე თვის უკან გადაწყვეტილი იყო მუშათა ფაკულტეტის დაარსება სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მიუხედავად იმისა, რომ მთელი **ზაფხულის თვეები** ფაკულტეტის ორგანიზაციულად მომწყობ პირთა განკარგულებაში იყო, მათ მაინც ვერ შესძლეს საქმის მოგვარება, რადგან არ იყო საქმესთან შეზომილი, სწორი ხელმძღვანელობა სახალხო განათლების კომისარიატიდან და პროფკავშირების კულტურულ-განმანათლებელ განყოფილებიდან. საერთო რიცხვი ფაკულტეტის მსმენელთა შესავსებათ განაწილებული იქნა სხვა და სხვა ორგანიზაციებზე. ხდება მუშათა ფაკულტეტის საზეიმო გახსნა. მხოლოდ რამოდენიმე დღის შემდეგ, აღნიშნული ორგანოები დადგნენ შემდეგი პერტურბაციის წინაშე. აღმოჩნდა, რომ ფაკულტეტის ტეხნიკურად მოწყობის სფეროში უმნიშვნელო რამ არის გაკეთებული. ამიტომ ადგინენ მინიმუმამდე დაყვანილ იქნას სტიპენდიანტთა რიცხვი ნაწილიც სავსებით მოკლებული სტიპენდიას ან უკან გაბრუნებული. აქედან აშკარაა თუ რამდენი ორგანიზაციული უნარი გამოუჩენია სახალხო კომისარიატს და პროფკავშირის კულტურულ-განმანათლებელ განყოფილებას მუშათა ფაკულტეტის მოწყობის საქმეში. მუშათა ფაკულტეტის საზეიმოთ გახსნის რამოდენიმე დღის შემდეგ იწყებენ იმის გამოკვლევას, თუ რა სახსარი მოეპოვება ფაკულტეტს და როგორ გაანაწილონ ადგილი სხვა და სხვა ორგანიზაციებზე.

რას ნიშნავს ეს, საქმის არ ცოდნა, გულგრილობა თუ დაცინვა მუშათა ფაკულტეტისადმი? მათი უორგანიზაციული მუშაობით ყველაზე მეტად ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი დაზიანდა, მაგრამ ჩვენც ვაფასებთ იმ „ხელმძღვანელობას", რომელიც აღნიშნულმა ორგანიზაციებმა გაუწიეს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს, ამასთანავე მოვაგონებთ **ამხ. ურულაშვილს**, რომ აქ „ნახალები" მართლაც გაუფუჭებენ მათ საქმეს.

ახალგაზრდობის პოლიტიკური ჯგუფები პოლონეთში*)

მუშათა ახალგაზრდობის მოძრაობა დიდი ხანია რაც წარმოიშვა პოლონეთში. დაახლოვებით იმ დროს, როდესაც პოლიტიკურ არენაზე გამოვიდა პოლონეთის პროლეტარიატი, ცხადია, რომ მუშათა მოძრაობა დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიურ განვითარებასთან.

პოლონეთში კაპიტალიზმი შემოიჭრა ძალიან გვიან და განვითარება დაიწყო მხოლოდ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. მაგრამ 1830—33 წელში გამოსულმა მეფის დეკრეტმა, რომლის ძალითაც, პოლონეთიდან რუსეთში შემოსატანი საქონელი თავისუფლდებოდა ბაჟიდგან, მისცა საშუალება პოლონეთის მრეწველობას გაესაღებინა თავისი საქონელი კავკასიაში, შუა რუსეთში და ციმბირში, რამაც წინ წაიწია პოლონეთში კაპიტალიზმის განვითარება. ფაბრიკებმა დაიწყეს სწრაფი ზრდა და მუშების რიცხვმა არაჩვეულებრივად იმატა. მუშათა ახალგაზრდობა დიდი ხანია მას აქეთ რაც უწევს დიდ დახმარებას თავის უფროს ამხანაგებს მათ ჯერ ეკონომიურ და შემდეგ პოლიტიკურ ბრძოლაში. მაგრამ მოძრაობა ახალგაზრდობისა რომელსაც ნათლად აქვს განსაზღვრული თავისი მიზნები, ჯერ არ იყო. სარწმუნოებრივი და წვრილ ბურჟუაზიული ნაციონალური პროპაგანდა სწამლავდა მუშათა და განსაკუთრებით ახალგაზრდათა მუშათა რიგებს. პოლონეთმა განიცადა იმ დროს ეროვნულ რევოლიუციათა მთელი რიგი, რომლებმაც მას სრული დამოუკიდებლობა მაინც ვერ მიანიჭა. მოგონება ამის შესახებ, ეროვნულ გრძნობით ავსებდა ყველა შოვინისტურ და სოციალისტურ მიმართულების მატარებელ ჯგუფებს.

ჯერ კიდევ მაშინ პოლონეთში შესამჩნევი იყო საკმაო გავლენის მქონე პოლიტიკური ჯგუფები. ერთი წვრილი ბურჟუაზიული წმინდა ნაციონალისტურ შოვინისტური მიმართულება, რომელიც მიილტოდა დამოუკიდებელ რეაქციონურ პოლონეთისაკენ, რათა აეცილებინა მსხვილ ბურჟუაზიის გავლენა, რომელიც თანდათან მის რიგებს არღვევდა. მეორე—სოციალ პარტიული, რომელიც მისწრაფვიდა დამოუკიდებელ კონსტიტუციონალურ პოლონეთისაკენ. მესამე — სოციალ-დემოკრატიული, რომელიც თავის მიზნად ისახავდა რუსეთის მუშებთან ერთად საერთო მტრის—ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, რევოლიუციონურ ხელისუფლების დასამყარებლად.

ყველაზე მეტი გავლენა ახალგაზრდობაზე ჰქონდა პირველ პოლიტიკურ მიმართულებას, დანარჩენ ორს კი უფრო ნაკლები. 1905 წელს ახალგაზრდობის უფრო შეგნებულმა ნაწილმა უკვე შესძლო თავის ორგანიზაციის შექნა და ბარიკადებზე ორგანიზაციულად გამოსვლა.

ებრაელთა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან „ბუნდ"-თან დაარსდა ახალგაზრდათა „ბუნდი", რომელმაც დიდი მსხვერპლი გაიღო რევოლიუციისათვის. ბევრი „გავროში" გამოვიდა მათ რიგებიდან და დაამტკიცა თავისი რევოლიუციონური ბრძოლის ცოდნა. მაგრამ რევოლიუციის შემდეგ, როგორც ფეიერვერკის გასროლის შემდეგ, ყველაფერი თითქმის ჩაქრა.

ბურჟუაზია ამწვავებდა თანდათან ექსპლოატაციას, რაც ახალგაზრდა მუშებს უღრმავებდა კლასიურ თვითშეგნებას.

იფეთქა ომმა და ახალგაზრდობა ბურჟუაზიის ბრძანებით წავიდა ფრონტზე ერთმანეთის დასახოცავად. ღელეებად დაიღვარა ახალგაზრდათა სისხლი, და ამ სისხლიდან წარმოიშვა რევოლიუციონური შეგნება, რომელმაც ხანგრძლივ დუმილის შემდეგ დაიწყო დუღილი. 1918 წელმა გავლენა იქონია პოლონეთის მუშათა ახალგაზრდობაზედაც და დააყენა იგი მსოფლიო მებრძოლ ახალგაზრდა პროლეტარიატის რიგებში.

პოლონეთის ახალგაზრდა მუშა მოღონიერდა, იგრძნო თავისი მოთხოვნილებათა ჩამოყალიბების საჭიროება და შეუდგა თავისი ორგანიზაციის შექმნას, დაარსდა ორგანიზაციების მთელი რიგი „ბუნდ"-თან „პოალეიციონ"-თან. დაარსდა პ. ს. ა. (პოლონეთის სოციალისტური ახალგაზრდობა), რომელმაც წამოაყენა თავისი ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნილებანი. მაგრამ ეს ორგანიზაციები ჯერ კიდევ იმყოფებიან სოციალ დემოკრატიულ პარტიების გავლენის ქვეშ. 1921 წელს მომხდარ ყრილობაზე პ. ს. ა.-ში მოხდა განხეთქილება. მემარცხენე ნაწილი შეუდგა ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირის ორგანიზაციების მოწყობას. 1921 წლის დასაწყისში ეს ორგანიზაცია სავსებით ჩამოყალიბდა და შევიდა სექციად ახალგაზრდ. კომუნისტურ ინტერნაციონალში.

ებრაელთა სოციალისტურ ორგანიზაციაში ოპოზიცია თანდათან ძლიერდება და შესამჩნევია მისი წევრების ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირში მასსიური გადმოსვლა. ამ ჟამად ახალგ. კომკავშირი, პოლონეთის კომპარტიასთან ერთად, ეწევა დიდ მუშაობას და წარმოადგენს მომავლისათვის მებრძოლ მუშათა კლასის ავანგარდის შემადგენელ ნაწილს.

იაკ ვიხი.

---

*) წერილი ეკუთვნის პეტროკოვის (ვარშავის ახლოს) ციხიდან გამოქცეულ ამხ. იაკუბოვიჩს, რომელიც ამ ჟამად თბილისში მუშაობს.

ასე მოითხოვს რევოლიუცია

ჩვენ ხშირად გვესმის ლაპარაკი კომუნისტურ ახალგაზრდობის როგორც მებრძოლთა დიდი როლის შესახებ, რომელმაც უნდა დაიჭიროს ძველი მებრძოლთა ადგილი. ახალგაზრდა გვარდიის მომავალი როლი ბუნებრივად საზღვრავს როგორც რ. ა. კ. კ. ამოცანებს, ისე მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის ორგანოების დამოკიდებულებას მისდამი. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა ახალგაზრდობის პოტენციალურ როლის გამო, მისი დიდი აქტუალურ მნიშვნელობის დავიწყება. უკანასკნელმა ხუთმა წელმა სავსებით გაამართლა ლიბკნეხტის სიტყვები და დაამტკიცა, რომ გარდატეხის ეპოქაში მუშათა ახალგაზრდობა წარმოადგენს რევოლიუციის ჩაუქრობელ ალს.

მით უფრო სერიოზულია ახალგაზრდობის მნიშვნელობა მსოფლიო რევოლიუციის დღევანდელ „უკან დახევის" მომენტში. რევოლიუციონური ენერგიის დაცემა ეხლა გამოაშკარავდა სრულიად გარკვეულად. ის მიზეზია თავდაპირველად გამუდმებულ ბრძოლის ხანგრძლივ პერიოდით გამოწვეულ დაღლილობისა. მას საკვებს აძლევს აგრეთვე ის განწყობილება, რომელიც გამოწვეულია რევოლიუციონურ განვითარების შენელებულ მსვლელობით. უფრო და უფრო მკაფიოდ აშკარავდება ქვეყნის შინაგან ძალთა შეფარდება, რომელიც მეტ შესაძლოებას უხსნის წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიას.

ამ ატმოსფერაში რევოლიუციონურ ახალგაზრდობის თავდადება წარმოადგენს უძლიერეს საშვალებას დაღლილობის წინააღმდეგ.

ახალგაზრდობის რევოლიუციონური ენერგიას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა აღმშენებლობისათვის.

„დაცემით მდგომარეობა" გამოიხატება სხვა და სხვანაირად მაგალითად „ვაიძვერაობაში", რომელიც „პიროვნების კულტის" ნიღაბ ქვეშ არის ამოფარებული. ან კიდევ აყვავებულია წვრილ-ბურჟუაზიული გულგაშლილობა, რომლის მეთაურნი პროტესტს აცხადებენ ძალდატანების წინააღმდეგ ტოლსტოის პაციფიზმის დასაცავად. ზედმეტია იმის მტკიცება, თუ როგორი დასუსტება და როგორი დემორალიზაციაა ეს ლოზუნგები პროლეტარიატის ძალების. ამიტომ მიუხედავათ ყოველივეს არმიის შექნა ეს ჩვენთვის მაინც საჭირო იყო, რათა იარაღის საშვალებით გვაძულებდნენ ჩვენი მტრები, თავი დაენებებინათ ჩვენი ხიშტით გასინჯვის ცდისთვის, **უბედურება არ აცილდება რესპუბლიკას თუ წითელი არმიის შეიარაღებული ხელი შესუსტდება.** ამავე დროს საჭიროა სამოქალაქო ომის ვეტერანები დავუბრუნოთ დაზგასა და გუთანს. ჩვენ გვჭირია არმიის რაოდენობით შემცირება. ამას მოითხოვს დანგრეულ და გასისხლიანებულ საბჭოთა რესპუბლიკის მომავალი. ჩვენ ამრიგად ვდგევართ იმ საჭიროების წინაშე, რომ ეხლავე მოვიწვიოთ ახალგაზრდობა არმიაში და ვასწავლით ისე, რომ მან შესძლოს მშვიდობიანობის დაცვა და მტრების დაცემის დროს მისცეს რესპუბლიკას გამარჯვება დიდი მსხვერპლის გაუღებლათ. აქედან გამომდინარეობს რ. ა. კ. კ. ამოცანა, სამხედრო შკოლის შექმნა, რომელიც შეასწავლის ახალგაზრდობას გამარჯვების მეცნიერებას სამხედრო სკოლა, ასრულებს ორგვარ ამოცანას. როგორც სკოლა ის ამზადებს ახალ კომანდირებს ძველების გამოსაცვლელად. როგორც სანიმუშო სამხედრო ნაწილი ის უკვე წარმოადგენს რევოლიუციის გვარდიას.

ეხლანდელ მომენტში მარტო ალტაცება არა კმარა: საჭიროა გულდასმითი და სერიოზული მუშაობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თავიდან ფეხამდე შეიარაღებული კაპიტალიზმი მთელი თავის ძალ ღონეს ხმარობს თავის სამხედრო და საჟანდარმო აპარატის გასამაგრებლად და გასაძლიერებლად. მშვიდობიანობის და განიარაღების ფრაზების ფარის ქვეშ სწარმოებს მუშაობა, რომელმაც უკვე დიდი ხანია შორს დასტოვა მომზადება 1914—1918 წ. წ. მსოფლიო ომისათვის. ჩვენც რასაკვირველია არ უნდა ჩამოვრჩეთ. საჭიროა **ვისწავლოთ და ვისწავლოთ.** სამხედრო სკოლა შეიარაღებული პროლეტარიატის ყველაზე უფრო მახვილ იარაღით—**მარქსისტულ მეცნიერებით**. ასრულებს თუ არა მუშათა და გლეხთა სამხედრო სკოლა ამ ამოცანებს?

მას აქვს თავის წარსულის ისტორიაში ბევრი შესანიშნავი ადგილი; ამხ. კალინინმა მას უწოდა ჩვენი **რევოლიუციის მატიანეს საუკეთესო ფურცელი**. სამხედრო სკოლამ ბრწყინვალეთ დაიჭირა ისეთი ძნელი სამხედრო პოლიტიკური გამოცდა, როგორიც იყო კრონშტადტის აჯანყების ლიკვიდაციის საქმე მაგრამ რევოლიუციონურ ახალგაზრდობის მხოლოდ ნაწილია გამსჭვალული პასუხის მგებლობის შეგნებით, რომელიც მას დაავალა ისტორიამ. და თუ რ. ა. კ. არ დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა, ჩვენი სკოლა ვერ შეას ლებს იმ ამოცანებს, რომელიც ჩვენმა რევოლიუციონურმა ეპო დააკისრა. სამხედრო სკოლა მიმდი ნარე მომენტში უნდა გახდეს კავ რის ზრუნვის ცენტრად. მან უნ მისცეს შკოლას მუშებისა და გლე ბის მედგარი კადრი, რომელთაც უძლიათ მომავალში გახდენ იმდენა მომზადებულ კომანდირებად, რო იარაღით ხელში დაიცვენ რევო ლიუციის მონაპოვარს. მან უნდა მია ქციოს ყურადღება იმ ახალგაზრდო ბას, რომელიც უკვე სწავლობს სამ ხედრო სკოლაში. ისტორია შეუბ რათ მოითხოვს, რომ ახალგაზრდობ ეხლავე დადგეს პროლეტარიატ დროშების ქვეშ და არ წარმოადგ დეს მხოლოდ მომავლისათვის ახა მებრძოლთა კადრის მომზადებე ისტორიის ეს მოთხოვნილება—უ ნაესი კანონია.

დ. პეტროვსკი
(„ახალგაზრდა კომუნისტი").

ა. კ. კ. სრულიად რუსეთის ყრილობა

რ. ა. კ. კ. ყრილობის სხდომაზე ამხ. ბუხარინმა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდის შესახებ მოხსენებაში სთქვა!

„მომავალი წლები იქნებიან გაფთრებულ ბრძოლის წლები მუშათა სახელმწიფოს ხელში მყოფ მრეწველობის და კერძო კაპიტალისტურ მეურნეობის შორის.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა—ეს ჩვენი მტრების უდიდეს სტრატეგიული ხრიკია. თუ ჩვენ არ გვეყოლება მმართველობის ყოველ დარგში საიმედო კადრი, საბრძანებლო პუნქტებს დაიჭერენ არა პროლეტარული ელემენტები. თუ ეს ასე მოხდა,—მაშინ დაიწყება კაპიტალიზმისაკენ არაპირდაპირი გზით დაბრუნება. ამიტომ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა ღებულობს პირველ ხარისხოვან მნიშვნელობას.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა ამ ჟამად გვიჩვენებს თავის დადებით მხარეს: უმჯობესდება მუშათა კლასის მდგომარეობა და იზრდება ჩვენი მატერიალური ბაზა. მაგრამ მოწინააღმდეგე ეხლა აწარმოებს შეტევას ჩვენ წინააღმდეგ იდეურ ფრონტ ჩვენ უნდა შევიკრიბოთ მთელი ჩვ ძალა და მივეშუროთ ამ ფრონ აგრეთვე საჭიროა მოვსპოთ წერა თხვის უცოდინარობა მუშათა ახა გაზრდობის რიგებში.

საჭიროა შევიტანოთ კომუნისტუ განათლება ახალგაზრდობის კომუნ ტური კავშირის ფართო მასებში, ამასთანავე შევქმნათ ადმინისტრ ტიული კადრები. საჭიროა განსაზ ვრული კვალიფიკაცია, განსაზღვრუ პროფესიის და მეცნიერების დარგ შესწავლა.

მუშაობა სოფლად.

რ. ა. კ. კ. ყრილობის სხდომა სოფლად მუშაობის შესახებ მომხ ნებელმა აღნიშნა, რომ რ. ა. კ. წინაშე სდგას საკითხი სოფლის კ მუნისტურ ინტელიგენციის ახალ დრების შექმნის და ქალაქის მუშა ინტელიგენციის სოფელში სამუშაო გადასროლის შესახებ, მიღებულ მოხსენების თეზისები.

18 ოქტომბერს, დიდ თეატრ მოხდება რ. ა. კ. კ. ყრილობის მი რესპუბლიკის წითელ ფლოტზე შე ფობის საზეიმო მიღება.

მთიულეთის ახალგაზრდობის ბრძოლა ადათებთ

რასაც არ აკეთებდეს მთიული: აშენებს ის სახლს, თუ ემზადება ხვნისათვის ან პურის მომკისათვის ყველაფერ ამას ის აკეთებს წინასწარი ცერემონიით, რომლის აღსრულება მისთვის სავალდებულოა, და რომელიც იწვევს დიდ ხარჯს. ყველაფერი ეს გამოწვეულია მოლების მიერ, რომლებიც სარგებლობენ ამ ჩვეულებით და ადათებით წმინდა სპეკულიანური მოსაზრებით.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, როგორც ყველგან რუსეთში ისე კავკასიაში იჩინა თავი ა. კ. კ. ორგანიზაციამ სხვა და სხვა აულებში. მოკლე ხნის განმავლობაში მარტო პატარა ოსეთში დაარსდა 40 ორგანიზაცია. ოსეთის მსგავსად მოიქცა ინგუშეთი, კაბარდა ყარა ჩაი და საჩეჩნეთი.

გაერთიანდა რა სხვისი უინიციატივოთ და უინსტრუქტოროთ, მთიულეთის ახალგაზრდობამ გვიჩვენა რომ ის სოლიდარულად ექცევა რევოლიუციის ძირითად მიზნებს. მთიულეთის ახალგაზრდობა დაუყონებლივ შეუდგა ძველ ადათებთან ბრძოლას, მან მიუდგა ძირიან-ფესვიანათ მის ამოფხვრას მაშინ, როდესაც კონტრ-რევოლიუციას კიდევ ჰქონდა თავშესაფარი კულაკებთან და მოლებთან. ამის შედეგი იყო ის, რომ რამოდენიმე მომუშავე ფარულად იქნა მოკლული. მთელ რიგ კონფერენციებზე გამოტანილი იყო დადგენილებები კომკავშირის წევრების მიერ ადათებ საწინააღმდეგოთ ბრძოლის წარმო ბის შესახებ.

იქნა დაარსებული ქალების ორგა ნიზაცია (უპარტიო) ოსეთის ოლქ მრავალ სოფლებში. მაგრამ მიზე ამ ორგანიზაციის უშედეგობისა იყ კულაკების და მოლების აგიტაცი, რომელსაც ავრცელებდენ ისინ მთიულეთის ახალგაზრდობის იმ ნა წილში, რომელიც ქალების გონებ რივ განვითარებაში ხედავდენ მა ზნეობრივად დაცემას, მაგრამ ამ მთიულეთის ახალგაზრდობის რევო ლიუციონური განვითარება მაინც შეფერხებულა. თითქმის ყველა სო ლებში რ. ა. კ. კ.-ის ორგანიზაც ილებდა აქტიურ მონაწილეობას პარ ტიის მუშაობაში, რომელიც მდგომა რეობდა სისხლის აღების ძირიან ამოგდებაში. კომკავშირის წევრებ აგიტაციით ძლიერ შესუსტებულ სასაფლაოზე სიარულის და საკურ ხების მოწყობის ჩვეულება და სხვ. პოპულიარულია კომკავშირი მთიუ ლეთის ახალგაზრდობის შორის. დი დი სიძნელით მოიპოვა მან მთიულ ეს სიმპატია. მთიულეთის ახალგაზრ დობის ორი წლის მუშაობას უნაყო ფოთ არ ჩაუვლია. ეხლა ის წარმოად გენს მოწინავე ელემენტს და მთიუ ლეთის პარტიულ ორგანიზაციის ბა ზას.

ვ. საიზიევი

ქალაქის აღმასკომი

ამით აცნობებს ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომელთაც თავის მუშაობის გეგმაში აზრად აქვთ 1923 წლის საზაფხულო სეზონში ბავშვების გაყვანა საგარაკოთ კოჯორში, რომ ჩაწერა ბავშვთა ქალაქის აგარაკებზე კოჯორში უკვე გაიხსნა.

უპირატესობა მიეცემათ იმ ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომელთაც მიზნათ აქვთ აგარაკების მოხმარება მარტო ბავშვებისათვის.

აგარაკების მიღების პირობებზე მსურველთ შეუძლიათ ცნობები მიიღონ ამხ. გ. ზ. რუხამესთან, აღმასკომის განათლების განყოფ. გამგესთან (ოთახი № 57), ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა, შუადღის 1—3 საათამდე.

აგარაკებზე ჩაწერის უკანასკნელ ვადათ ჩაითვლება 15 ნოემბერი 1922 წ.

(კრ. 436—1—1) ქალაქის აღმასკომი.

ტფილისის სასოფლო-სამეურნეო
[illegible] საზოგადოების საერთო
[illegible], რომ 22 ოქტომბერს, დღით 11 საათზე
მის ყოფილ შენობაში (სასახლის ქუჩა № 6) დანიშნულია წევრთა

საერთო კრება

დღის წესრიგი:

1) საბჭოს მოხსენება საზოგადოების მოქმედების განახლების შესახებ და მიმდინარე საქმეები, 2) განხილვა და დამტკიცება მომავალი სამეურნეო წლის ხარჯთ-აღრიცხვისა, 3) არჩევნები საბჭოს წევრების, გამგეობის და სარევიზიო კომისიისა.

ქ. თბილისის აღმასკომის გადასახადთა

ბიურო

აცხადებს, რომ სამშაბათს, 23 ოქტომბერს დღითი 12 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა:**

1) ბაგზე, ზღვებარე პოდვალი შესახვევი № 6. და 2) ვერის ბორანზე.

პირობების გაგება შეიძლება 50 ოთახში საიჯარო მაგიდის გამგე—მ. **დარახველიძესთან.** (კრ. 425—2—2)

გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს პირობით

საერთო განათლ. კურსებზე, ტეხნიკუმში, ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლაში შესასვლელად. აგრეთვე ასწორებს ჩამორჩენილ მოწაფეებს მათემატიკაში. პლეხანოვის და ელიქსის ქუჩ. კუთხე № 25 და 5. ნახვა კვირაობით 10—1 ს. ისე დღით 10—2 ს. 4—6 ს.

(444—2—1)

დღეს, 22 ოქტომბერს,

დოდი

დასაწყისი დღის 1 საათზე.

ტელეფონი № 121 № 427

ქ. ტფილისის მე-11 უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს, გარდაცვალებულის კონსტანტინე (იგივე ესტატე) ს დომონიძის, რომელთაც ნება აქვთ განაცხადონ თავიანთი უფლება ორი თვის განმავლობაში დღიდან ამ გამოცხადებისა.

(443—1—1) სახალხო მოსამართლე (ხელს აწერს).

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა. კრუზენშტერნის ქ. № 4.